მასკლეროზებელი მიკროკარცინომა, ანუ მიკროკარცინომა ნაწიბურში, რომელიც აღმოჩნდება შემთხვევით - მიკროსკოპული გამოკვლევის დროს (Sturgis and Li 2009).

მორფოლოგია. პაპილური კარცინომა შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთეული ან მრავლობითი კვანძის სახით, ხშირად უსწორმასწორო კიდეებით ან კარგად შემოსაზღვრული კაფსულით. განაკვეთის ზედაპირზე აღინიშნება მარცვლოვანება, ფიბროზი, კალციფიკატები, ხშირად ცისტები და პაპილური კერები. მიკროსკოპულად დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

1. დატოტვილი პაპილური სტრუქტურები, რომლებიც შეიცავს ეპითელიური უჯრედების რამდენიმე შრით დაფარულ ფიბროვასკულურ გულგულს (core). ხშირად პაპილური სტრუქტურების მფარავი ეპითელიუმი მაღალდიფერენცირებულია, მონომორფული, კუბოიდური ფორმის, ზოგჯერ კი ძლიერ ანაპლაზიურია, დაკარგული აქვს პოლარობა, წარმოადგენს სქვამოზური მეტაპლაზიის ნიშნებს;
2. სიმსივნური უჯრედების ბირთვები შეიცავს ნაზგრანულურ ქრომატინს, რაც ქმნის ოპტიკურად გამჭვირვალე ან „მინისებურ“ შთაბეჭდილებას. ციტოპლაზმის ინვაგინაციები ზოგჯერ ქმნიან ბირთვშიდა ჩანართებს (ფსევდოჩანართები) ან ბირთვის ღარებს. ამ ეტაპზე პაპილური კარცინომის დიაგნოსტიკა ემყარება ბირთვების ზემოთ აღნიშნულ ცვლილებებს, პაპილური სტრუქტურების არარსებობის დროსაც კი;
3. კონცენტრულად კალციფიცირებული სტრუქტურები, ე.წ. ფსამომური სხეულები (Psammoma bodies) ვლინდება პაპილური სტრუქტურების ცენტრში და პათოგნომურია პაპილური კარცინომისათვის. არსებობს რეკომენდაცია, რომ ლიმფურ კვანძებში ან ფარისებრი ჯირკვლის მიმდებარე ქსოვილში ფსამომური სხეულების აღმოჩენისას უნდა ვივარაუდოთ ლატენტური პაპილური კარცინომის არსებობა;
4. ხშირია ლიმფურ ძარღვებში სიმსივნის ინვაზია, შემთხვევათა 50%-ში ვლინდება მეტასტაზი კისრის ლიმფურ კვანძებში (Pusztaszeri and Auger 2017; Mahmud Gauhar 2014).

აღწერილია პაპილური კარცინომის შემდეგი ვარიანტები:

1. ინკაფსულირებული ვარიანტი შეადგენს პაპილური სიმსივნეების 10%-ს, გააჩნია კაფსულა, მეტასტაზირება იშვიათია, პროგნოზი კარგია;
2. ფოლიკულური ვარიანტი წარმოდგენილია ფოლიკულური არქიტექტონიკით, მაგრამ პაპილური კარცინომისთვის დამახასიათებელი ბირთვებით, აქვს მცირე ან საშუალო ზომის ფოლიკულები, ხოლო მათი შიგთავსი - კოლოიდი, მკვეთრად ეოზინოფილურია. შეიძლება გააჩნდეს კაფსულა, ხშირად შეიცავს ფსამომურ სხეულებს;
3. ცილინდრულუჯრედოვანი ვარიანტის დროს პაპილური სტრუქტურები დაფარულია მაღალი ცილინდრული უჯრედებით, რომლებიც შეიცავს მკვეთრად ეოზინოფილურ ციტოპლაზმას. დამახასიათებელია ინვაზია სისხლძარღვებში, მეტასტაზირება კისრის ლიმფურ კვანძებსა და რბილ ქსოვილებში, ასევე დისტანციურად. მეტასტაზურ ვარიანტებს ახასიათებთ უარყოფითი p27 და დადებითი Cyclin D1 რეაქცია, ხოლო არამეტასტაზურ ფორმებში აღინიშნება დადებითი p27 და უარყოფითი Cyclin D1 რეაქცია (Lantsov et al. 2005). ხშირია RET/PTC ტრანსლოკაცია (სომატური გენეტიკური) (Patel and Singh 2006);
4. დიფუზური მასკლეროზებელი ვარიანტი უპირატესად ვითარდება ახალგაზრდა ასაკში, ორმხრივია, განაკვეთის ზედაპირზე შეიცავს ჭარბი რაოდენობით ფსამომურ სხეულებს. ჰისტოლოგიურად აღინიშნება პაპილური ზრდა, ბრტყელუჯრედოვანი მორულები (ბრტყელი უჯრედების ჯგუფები), დიფუზური ფიბროზი, ზოგჯერ ჭარბი ლიმფოციტური ინფილტრაცია, თითქმის ყველა შემთხვევაში ლიმფურ კვანძებში ვლინდება მეტასტაზი;
5. ჰიალინიზებული ტრაბეკულური სიმსივნეები მოიცავს როგორც ადენომას, ისე კარცინომას და ითვლება პაპილური კარცინომის ვარიანტად, რადგან შემთხვევათა 30-60%-ში ვლინდება RET/PTC ტრანსლოკაცია. ისინი ხასიათდება „ორგანოიდული“ ზრდით, ანუ წაგრძელებული ფორმის სიმსივნური უჯრედების ჯგუფები და ტრაბეკულები განლაგებულია ფიბროვასკულურ სტრომაში, პარაგამგლიომის მსგავსად. გამოხატულია როგორც უჯრედშიდა, ისე უჯრედგარე ჰიალინიზაცია, რაც

განაპირობებს მკვეთრ ეოზინოფილიას. აღინიშნება პაპილური კარცინომისთვის დამახასიათებელი ბირთვები და ფსამომური სხეულები. ადენომის ვარიანტში გააჩნია კაფსულა, კარცინომა კი ხასიათდება კაფსულაში და/ან სისხლძარღვში ინვაზიით (Lloyd, Buehler and Khanafshar 2011).

პაპილური კარცინომის პროგნოზი კარგია, 10-წლიანი სიცოცხლის ხანგრძლივობა აღემატება 95%-ს. 5-20%-ში შეიძლება განვითარდეს ადგილობრივი ან რეგიონული რეციდივი, 10-15%-ში კი შორეული მეტასტაზი (He et al. 2017).

1960-იან წლებამდე, ფარისებრი ჯირკვლის პაპილურ და ფოლიკულურ კარცინომას შორის განსხვავება განპირობებული იყო ფოლიკულური ზრდის ნიმუშის პროცენტზე. 1960-იანი წლებიდან დაწყებული ბირთვული მახასიათებლები წინასწარმეტყველებდა ბიოლოგიურ ქცევას ფოლიკულური ნიმუშის ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეებში, წარმოიშვა პაპილური კარცინომის ფოლიკულური ვარიანტის კონცეფცია. ასეთი ნეოპლაზიები ასახავს კლასიკური პაპილური კარცინომის ბიოლოგიურ ქცევას ფარისებრ ჯირკვალში „მულტიფოკალური“ დაზიანებით, ჯირკვალში ლიმფური ინვაზიით და ფარისებრი ჯირკვლის დამატებით რბილ ქსოვილში და რეგიონულ ლიმფურ კვანძებში მეტასტაზების განვითარებით. შორეული მეტასტაზები საკმაოდ იშვიათი იყო (LiVolsi and Baloch 2017).

XX საუკუნის ბოლო მეოთხედში და XXI საუკუნის I ათწლეულში, დაზიანებები, რომლებიც იყო კაფსულირებული, ფოლიკულური ნიმუშით, მაგრამ პაპილური კიბოს ბირთვებით, აღიარებულ და დიაგნოსტირებულ იქნა როგორც "პაპილური კარცინომის ფოლიკულური ვარიანტი". ინვაზიის შემთხვევაში, ასეთი დაზიანებები იმეორებდა ფოლიკულური კარცინომის მსგავს კლინიკას, ვინაიდან პათოლოგიური პროცესის სიმსივნის კაფსულაში ან სისხლძარღვებში ან მიმდებარე ფარისებრ პარენქიმაში შეჭრისას, ხშირი იყო ჰემატოგენური მეტასტაზები ძვლებში და ტვინში. თუმცა, როდესაც არ იყო ინვაზია, პაპილური სტრუქტურები ან ფსამომური სხეულები, ასეთი დაზიანებები საჭიროებდა შემდგომ დაკვირვებას, რათა მოქცეულიყო კეთილთვისებიანი, ფოლიკულური ადენომის კატეგორიაში. ევროპაში, აზიასა და

შეერთებული შტატებში გამოქვეყნებულმა კვლევებმა გამოავლინა ეს ინკაფსულირებული დაზიანებები ინვაზიის გარეშე (Williams 2000; Kakudo et al. 2012; Liu et al. 2006). აქედან ჩანს, რომ არსებობს პაპილური კარცინომის ფოლიკულური ვარიანტის ორი ძირითადი კატეგორია - ინფილტრაციული და კაფსულირებული ტიპი.

პრობლემები წარმოიშვა ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის ინკაფსულირებული ტიპის ფოლიკულური ვარიანტის დიაგნოზში, ვინაიდან ენდოკრინული პათოლოგიის „ექსპერტები“ ვერ შეთანხმდნენ პაპილური კარცინომის დიაგნოსტიკური ბირთვული მახასიათებლების განსაზღვრაში (Lloyd et al. 2004; Hirokawa et al. 2002; Renshaw and Gould 2002; Chan 2002; Baloch and LiVolsi 2002; Elsheikh et al. 2008). საინტერესოა, რომ ამერიკელი პათოლოგები უფრო ხშირად სვამდნენ ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის ფოლიკულური ვარიანტის დიაგნოზს იაპონელ პათოლოგებთან შედარებით (25% v. 4%) (Hirokawa et al. 2002).

ამრიგად, ექსპერტების უმეტესობა თანხმდება, რომ ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის ფოლიკულური ვარიანტის დიაგნოზში ეს ცვალებადობა განპირობებულია მინიმალურ სადიაგნოსტიკო კრიტერიუმებზე შეთანხმების არარსებობით (Lloyd et al. 2004; Elsheikh et al. 2008). როგორც უკვე აღვნიშნეთ, პაპილური კიბოს დიაგნოსტიკა ხდება სიმსივნური უჯრედის ბირთვების გამოკვლევით. ციტოპათოლოგთა უმეტესობა არ დასვამს პაპილური კარცინომის დიაგნოზს ფარისებრი ჯირკვლის წვრილნემსიან ასპირაციულ (FNA) ნიმუშებზე დაყრდნობით, ვიდრე ყველა ძირითადი დიაგნოსტიკური მახასიათებელი იდენტიფიცირებული არ იქნება. FNA ნიმუშების უმეტესობა, რომლებსაც აკლდათ ერთი ან მეტი ძირითადი დიაგნოსტიკური კრიტერიუმი, კლასიფიცირებული იყო, როგორც ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის საეჭვო შემთხვევა (Logani et al. 2000; Zacks et al. 1998). მრავალრიცხოვანმა კვლევამ აჩვენა, რომ ავთვისებიანი სიმსივნეების სიხშირე ასეთ დიაგნოსტიკურ შემთხვევებში არის 60-75% და საინტერესოა, რომ ჰისტოლოგიური გამოკვლევის დროს უმეტეს შემთხვევაში აღმოჩენილია ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის ფოლიკულური ვარიანტი (Zacks et al. 1998; Baloch et al. 2008).

ზემოხსენებული კვლევები მოწმობს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება მეცნიერთა შორის ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის ფოლიკულური ვარიანტის დიაგნოზში, რაც ხშირად ქმნიდა მკურნალობის დილემას კლინიცისტებს შორის, ე.ი. იმ შემთხვევებში, როდესაც საჭირო იყო ლობექტომია, (როგორც საწყისი პროცედურა) და/ან რადიაქტიური იოდით აბლაცია. ამ დიაგნოსტიკური დილემის შედეგი იყო ის, რომ ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის ფოლიკულური ვარიანტის მრავალი შემთხვევა (განსაკუთრებით ინკაფსულირებული დაზიანებები) იგზავნებოდა ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის ექსპერტებთან დადასტურების მიზნით (Renshaw and Gould 2002; Baloch and LiVolsi 2006).

ტერმინოლოგიური დილემა

2015 წელს, ენდოკრინული პათოლოგიების, მოლეკულური პათოლოგიების და კლინიცისტების საერთაშორისო ჯგუფმა შეისწავლა პაპილური კარცინომისთვის დამახასიათებელი ბირთვების მქონე კაფსულირებული ნეოპლაზიების დიდი რაოდენობა და აჩვენა, რომ თუ არ იყო ინვაზია, ეს დაზიანებები პაციენტისთვის ძალიან დაბალ რისკს ატარებდა, კონსერვატიული მკურნალობის შემთხვევაშიც კი. თუმცა, ინვაზიის შემთხვევაში და, განსაკუთრებით, სისხლძარღვში ინვაზიის დროს, ეს სიმსივნეები ხასიათდებოდნენ აგრესიული ქცევით და ჰემატოგენური მეტასტაზების განვითარებით. იმ ფარისებრ ჯირკვალში, სადაც განვითარდა პაპილური კარცინომის არაინვაზიური ინკაფსულირებული ფოლიკულური ვარიანტი, ხშირად არსებობდა ცალკეული პაპილური მიკროკარცინომა ან მრავლობითი მიკროკარცინომა, რაც ლიმფურ კვანძებში მეტასტაზებს წარმოადგენდა და არა კაფსულირებულ პრენეოპლაზიებს (LiVolsi and Baloch 2017).

ფარისებრ ჯირკვალში არსებული ერთადერთი კვანძის დროს არაინვაზიური ინკაფსულირებული ფოლიკულური სიმსივნის არსებობა იმდენად დაბალ რისკს წარმოადგენდა, რომ მიზანშეწონილი არ იყო ამ სიმსივნეებისთვის „კარცინომად“ შეფასება. მკვლევარების ჯგუფმა მიუთითა კვლევებზე, რომლებიც ხაზს უსვამდნენ პაციენტებსა და მათ ოჯახებში გამოწვეულ სტრესზე, როდესაც გამოიყენებოდა ეს

დიაგნოსტიკური ტერმინი (Hodak et al. 2016). ლიტერატურაში შემოთავაზებული იყო სხვადასხვა დიაგნოსტიკური ტერმინი ამ კაფსულირებული დაზიანებებისთვის: "ატიპიური ადენომა" (Fukunaga et al. 2008; Tzen, Huang and Fu 2003), "სასაზღვრო დაზიანება" (Kakudo et al. 2015) და გაურკვეველი ავთვისებიანი პოტენციალის სიმსივნეები (Williams 2000).

ამრიგად, სპეციალისტების ჯგუფმა, ხანგრძლივი დისკუსიისა და მრავალი შესაძლებელი სახელწოდების შემდეგ, შეიმუშავა დიაგნოსტიკური ტერმინი - „ფარისებრი ჯირკვლის არაინვაზიური ფოლიკულური ნეოპლაზია პაპილურის მსგავსი ბირთვული მახასიათებლებით (Non-invasive follicular thyroid neoplasm with papillarylike nuclear features (NIFTP)) (Nikiforov et al. 2016). ეს ტერმინი, თუმცა, სავარაუდოდ, გამართულად არ ჟღერს, თავიდან აიცილებს სიტყვებს: „კარცინომა“, „კიბო“, „ავთვისებიანი“ და „გაურკვეველი“. ხაზს უსვამს დაზიანების თავისებურებებს, ანუ „არაინვაზიურს“, „ფოლიკულურს“, „ნეოპლაზიას“. მნიშვნელოვანია NIFTP-ში „ბირთვული ციტოლოგიის“ ჩართვა, რადგან FNA-ის ზოგიერთ შემთხვევაში ვლინდება ატიპიური ბირთვული მახასიათებლები, რომლებიც მიუთითებენ ან საექვო ფარისებრი ჯირკვლის პაპილურ კარცინომაზე. კვლევებმა აჩვენა, რომ მათი უმრავლესობა FNA-ზე დიაგნოსტიკური იქნება როგორც გაურკვეველი სახის ატიპია/ფოლიკულური დაზიანება, ფოლიკულური ნეოპლაზია ან როგორც საექვო ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა (LiVolsi and Baloch 2017).

NIFTP-ის აღწერილობითი ტერმინები "შეესაბამება" შემდეგ დაზიანებას:

„არაინვაზიური“: ამ დაზიანებებიდან ბევრი ინკაფსულირებულია, ზოგიერთი მხოლოდ შემოსაზღვრულია. ჰისტოლოგიური თავისებურება ინვაზიის გარეშე გადამწყვეტია დიაგნოზისთვის. კაფსულის შეჭრა შეიძლება იყოს კეროვანი; არაინკაფსულირებული სიმსივნეების დროს შეიძლება შეგვხვდეს სიმსივნური ფოლიკულების გავრცელება ან ინფილტრაცია მიმდებარე ფარისებრ ჯირკვალში. ზოგიერთი კვლევა რეკომენდაციას უწევს იმუნოშეღებვას HBME-1-ით, როგორც მარკერი ამ ინვაზიური ფოლიკულებისთვის. არაინვაზიურობის დადგენა

მნიშვნელოვანია და, შესაბამისად, საჭიროებს ჰისტოლოგიურ გამოკვლევას ზუსტი დიაგნოზის უზრუნველსაყოფად (LiVolsi and Baloch 2017).

„ფოლიკულური“: დაზიანების ზრდა უპირატესად ან ერთმნიშვნელოვნად ფოლიკულურია. ლიტერატურაში აღწერილია დიფუზური ან მრავალფოკალური „მიკროფოლიკულური“ ზრდა. ზოგიერთ დაზიანებისას ასევე აღინიშნება მაკროფოლიკულები. ხშირად, მიკროფოლიკულები მაკროფოლიკულებს შორის გვხვდება გადანაწილებული და შეიცავს ატიპურ ბირთვებს. სოლიდური ზრდის უბნები დასაშვებია, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს დაზიანების 30%-ს; ასეთ შემთხვევებში უნდა შეფასდეს ნეკროზისა და მიტოზური ცვლილებები, რათა გამოირიცხოს დაბალდიფერენცირებული კარცინომა, გარდა ამისა არ უნდა აღინიშნებოდეს ფსამომური სხეულები (Nikiforov et al. 2016).

„ნეოპლაზია“: მოლეკულური ანალიზის წინასწარი მონაცემები ვარაუდობს, რომ ეს არის კლონური ნეოპლაზიები, რომლებიც ხშირად შეიცავს მუტაციებს RAS გენში (Nikiforov et al. 2016; Kakarmath et al. 2016). ისინი არ წარმოადგენენ ჰიპერპლაზიურ ან ადენომატოზურ კვანძებს; ასევე, ხშირად კაფსულირებული, ჰიპერუჯრედული და ჰისტოლოგიურად ერთფეროვანია მათი უჯრედული შემადგენლობით.

„ჰაპილური ბირთვული მახასიათებლები“: ეს სიმსივნეები ფოლიკულური ადენომისგან განსხვავდება ჰაპილური კარცინომის ბირთვული მახასიათებლების არსებობით. ამ სიმსივნეების თავდაპირველი შეფასება მოიცავდა ცხრაპუნქტიან შეფასების სქემას (შემდგომში შემცირდა სამ პუნქტამდე), რომელიც აფასებდა შემდეგ ბირთვულ პარამეტრებს: ფორმა/ზომა, მემბრანის დარღვევები და ქრომატინის მახასიათებლები (Nikiforov et al. 2016).

ბირთვული ნიშნები შეიძლება იყოს დიფუზური ან მულტიფოკალური. ისევე როგორც ინვაზიური ინკაფსულირებული სიმსივნეების შემთხვევაში, ბირთვები ავლენენ კლასიკური ჰაპილური კარცინომის დამახასიათებელ ნიშნებს, გარდა იმისა, რომ ინტრანუკლეარული ჩანართები იშვიათია და ბირთვები ხშირად უფრო მომრგვალოა, ვიდრე ოვალური.

Nikiforov და თანაავტორები მიუთითებენ, რომ კვლევაში შესწავლილ დაზიანებებს შეიძლება ჰქონდეს მუტაციები RAS გენში - 30%, და PPARG ან THADA გენის შერწყმა - 44% და მხოლოდ ერთ შემთხვევაში ვლინდებოდა BRAF K601E მუტაცია. ინვაზიურ დაზიანებებთან შედარებით, განსაკუთრებით სისხლძარღვთა ინვაზიის მქონე დაზიანებებთან შედარებით, არც ერთი NIFTP შემთხვევა არ აჩვენებს TERT ან p53 მუტაციებს (Nikiforov et al. 2016).

2.5. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური მიკროკარცინომა (PTMC)

პაპილური მიკროკარცინომა (PTMC) არის მცირე ზომის პაპილური თიროიდული კარცინომა (PTC), რომლის დიამეტრიც 1 სმ. ან უფრო ნაკლებია. უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, PTC-ის სიხშირე ბევრ ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა, PTMC-ის გამოვლენაც ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელით ხასიათდება. მკვლევარების უმრავლესობამ დაასკვნა, რომ PTC-ს ეს გაზრდილი სიხშირე ასახავს სუბკლინიკური დაავადებების გამოვლენის ზრდას, როგორცაა მცირე და დაბალი რისკის კარცინომების ულტრაბგერით და ასპირაციული ნემსით (FNA) აღებული მასალის ციტოლოგიური დიაგნოსტიკა. ამდენად, პაპილური მიკროკარცინომა (PTMC) გახდა პაპილური თიროიდული კარცინომის (PTC) ყველაზე გავრცელებული კლინიკურ-მორფოლოგიური ვარიანტი და ქირურგიული გზით ნამკურნალები ყველა თიროიდული კარცინომის თითქმის ნახევარი (Kakudo et al. 2013).

PTMC არის ავთვისებიანი სიმსივნე, რომლის დროსაც ლიმფური კვანძის მეტასტაზები 50%-მდე შემთხვევაში ვლინდება, წარმოადგენს მაღალდიფერენცირებულ ვარიანტს, დაავადებულთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი დაავადებიდან 10 წლის შემდეგ 1%-ზე ნაკლებია. ფარისებრი ჯირკვლის კარცინომით დაავადებულ პაციენტებში კარცინომის მიკრო კერები ხშირად გვხვდება, როგორც ინტრათიროიდული მეტასტაზები ან მულტიფოკალური PTMC ექსტრათიროიდულად, ასევე ფარისებრი ჯირკვლის საპირისპირო წილში.

ინტრათიროიდული მეტასტაზებისა და ფარისებრი ჯირკვლის ნარჩენ ქსოვილში მულტიფოკალური PTMC-ის მაღალი მაჩვენებელი ამართლებს ქირურგებს, რომლებიც

PTC-ს მქონე პაციენტების მკურნალობაში იყენებენ ტოტალურ თიროიდექტომიას, ნაცვლად ლობექტომიისა (Kakudo et al. 2013).

2.6. ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეების დიაგნოსტიკური კრიტერიუმები

ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეების უმნიშვნელოვანესი დიაგნოსტიკური კრიტერიუმია პაპილური თიროიდული კარცინომის უჯრედთა ბირთვის თვისებები (Papillary thyroid carcinoma (PTC) nuclear features (PTC-N)). PTC-N არის PTC-ის დიაგნოზის ოქროს სტანდარტი, ისევე როგორც სიმსივნური ქსოვილის პაპილური სტრუქტურა და ინვაზიური ზრდა. PTC-N-ის შეფასება საშუალებას აძლევს პათოლოგებს მიკროსკოპულ კერებში გამოავლინონ PTMC, მაშინაც კი, თუ მათი დიამეტრი 1მმ-ზე ნაკლებია. PTC-ს ბიოლოგიური მახასიათებლები და კლინიკური სტადია დიაგნოსტიკისას დიდწილად განსაზღვრავს მის კლინიკურ მიმდინარეობას. შედეგად, PTMC-ის უმრავლესობა შემოფარგლულია ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილით და ხასიათდება კარგი პროგნოზით, როგორც კეთილთვისებიანი სიმსივნეები (Kakudo et al. 2012; Kakudo et al. 2013; Pacini 2012; Liu et al. 2010; Noguchi et al. 2008).

WHO (World Health Organization) ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეების კლასიფიკაციის განმარტებითა და აღწერით, არ არსებობს პაპილური თიროიდული კარცინომის ცნობილი წინასწარი დაზიანება (პრეკანცერი). ადრეული მცირე PTC შეიძლება წარმოიქმნას ორ სხვადასხვა სიტუაციაში: ფარისებრი ჯირკვლის ნორმულ პარენქიმაში (de novo cancer) ან ფარისებრი ჯირკვლის კვანძში (cancer in adenoma). PTMC, ჩვეულებრივ, არის მცირე PTC, რომელიც ვითარდება ფარისებრი ჯირკვლის ნორმულ პარენქიმაში ან ფარისებრი ჯირკვლის არანეოპლაზიური დაზიანების დროს, როგორცაა ჰაშიმოტოს დაავადება. ფოკალური PTC-N ფარისებრი ჯირკვლის კვანძოვანი დაზიანებისას, ჩვეულებრივ, გამორიცხავს PTMC-ს, რადგან ყველა კვანძი, ტრადიციულად, დიაგნოსტირდება, როგორც კავსულირებული პაპილური კარცინომა (როგორც ზოგადი ტიპი ან ფოლიკულური ვარიანტი) ან ე.წ. მაღალდიფერენცირებული სიმსივნე გაურკვეველი ავთვისებიანი პოტენციალით (well-differentiated tumors of

uncertain malignant potential (WDT-UMP)). აქედან გამომდინარე, PTMC-ები, მცირე სიმსივნეები PTC-N-ით არაკვანძოვან ფარისებრ ჯირკვალში, შეიძლება იყოს PTC-ის ადრეული ფაზა ან PTC-ის წინარე დაზიანება (კიბოსწინარე, მოსაზღვრე დაზიანება ან grey zone lesion). ამგვარად, PTMC შეიძლება იყოს PTC-ის წინამორბედი დაზიანების ერთ-ერთი ვარიანტი და არა მაღალგანვითარებული კლინიკური კიბო ან ჭეშმარიტი კიბო სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლით (Kakudo et al. 2013; Liu et al. 2010).

2.7. ჰაშიმოტოს თიროიდიტი (HT)

ჰაშიმოტოს თიროიდიტი (HT), ასევე ცნობილი, როგორც ქრონიკული აუტოიმუნური ლიმფოციტური თიროიდიტი, ანუ ლიმფომატოზური ჩიყვი, პირვალად აღწერა ჰაკარუ ჰაშიმოტომ 1912 წელს, ეს არის ფარისებრი ჯირკვლის ყველაზე გავრცელებული ანთებითი დაავადება და ჰიპოთირეოზის ყველაზე გავრცელებული მიზეზი მოზრდილებში. HT არის აუტოიმუნური ბუნების დაზიანება, რომელიც ხასიათდება შრატში თიროიდული აუტოანტისხეულების მომატებით, ფარისებრი ჯირკვლის უკმარისობის თანდათანობითი განვითარებით და ჩიყვის ჩამოყალიბებით. ტიპური ქსოვილოვანი ცვლილებები HT-ის დროს წარმოდგენილია ლიმფოპლაზმოციტური ინფილტრაციით და ლიმფოიდური ფოლიკულების ფორმირებით, კარგად განვითარებული გერმინაციული ცენტრებით. ამავდროულად, HT ჰისტოლოგიურად და ჰისტოპათოლოგიურად არ წარმოადგენს ერთგვაროვანი რიგის დაზიანებებს. რამდენიმე ქვეტიპი HT-ისა, შესაბამისი კლინიკურ-პათოლოგიური თავისებურებებით, საკმარისად განსხვავდება ტიპური HT-ის სურათისაგან, რაც უკანასკნელ წლებში იყო აღწერილი, როგორც ჯირკვლოვანი პარენქიმა, ჩანაცვლებული მკვეთრად გამოხატული ფიბროზით, შემომსაზღვრელ ქსოვილში HT-ისთვის დამახასიათებელი სურათით. რიდელის თიროიდიტისაგან (RT) განსხვავებით, HT-ის ფიბროზული ვარიანტის დროს არ არის გამოხატული ექსტრათიროიდული ფიბროზი (Kamisawa et al. 2003; Pearce, Farwell and Braverman 2003).

ზოგიერთი მკვლევარი აცხადებს, რომ HT არის პაპილური თიროიდული კარცინომის (PTC) და ავთვისებიანი ლიმფომის რისკ ფაქტორი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ექიმებმა HT-ის ფონზე გამოავლინონ PTC ან სხვა ტიპის თიროიდული ნეოპლაზიები, რათა უზრუნველყონ შესაბამისი მკურნალობა. PTC-სა და ფოლიკულური ნეოპლაზიების ციტოლოგიური თავისებურებანი ხშირად აღინიშნება HT-ის მქონე პაციენტებში ფარისებრი ჯირკვლიდან ასპირაციულ-ბიოფსიური მეთოდით (FNA) აღებული მასალის ციტოლოგიური კვლევისას. თუმცა, მექანიზმები ან განმარტებები, თუ რატომ აღინიშნება ხშირად ეს ატიპური უჯრედები HT-ს მქონე პაციენტებში, კარგად არ არის დასაბუთებული ფაქტებით (Wakasa et al. 2013).

HT-ის დიაგნოზი ისმევა კლინიკურად, კლინიკურ გაიდლაინებში მოცემული დიაგნოსტიკური კრიტერიუმებია: 1) დიფუზური და უმტკივნეულო (non-tender) ჩიყვი, 2) გრეივისის დაავადების გამორიცხვა და 3) აუტოანტისხეულების (TgAb, TPOAb) არსებობა შრატში. ზოგიერთი მკვლევარი აცხადებს, რომ PTC და ავთვისებიანი ლიმფომა უფრო მეტი სიხშირით გვხვდება HT-ით დაავადებულ პაციენტებში, ვიდრე პაციენტებში HT-ის გარეშე (Wakasa et al. 2013; Replinger et al. 2008).

HT-ის ფონზე განვითარებული კეთილთვისებიანი ფოლიკულური უჯრედების მორფოლოგიური ცვლილებები შეიძლება დაემსგავსოს პაპილური თიროიდული კარცინომის დროს განვითარებულ ცვლილებებს. კვლევებით დადგინდა, რომ ფარისებრი ჯირკვლის ნიმუშებში გვხვდება ორი ტიპის ატიპური უჯრედი - 1. უმწიფარი ფოლიკულური უჯრედები ჭიმების მსგავს (cord-like) სტრუქტურებში და 2. სოლიდური ბაზალური უჯრედები. ორივე ტიპის უჯრედს გააჩნია ფოლიკულური უჯრედების ბუნება, შესაბამისად, ვლინდება პოზიტიური იმუნორეაქტიულობა თიროიდული ტრანსკრიპციის ფაქტორ 1-ზე (Thyroid Transcription Factor 1). p63-ზე პოზიტიურია სოლიდური ბაზალური უჯრედებიც, მაგრამ არა უმწიფარი ფოლიკულური უჯრედები cord-like სტრუქტურებში, რაც მიუთითებს, რომ სოლიდური ბაზალური უჯრედები ინარჩუნებენ ღეროვანი უჯრედების ბუნებას (Wakasa et al. 2013).

ამჟამად, PTMC-ს კლინიკური დიაგნოზი ძირითადად დამოკიდებულია კლინიკურ გამოვლინებებზე და ჰისტოპათოლოგიურ სურათზე. თუმცა, ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევის სპეციფიკა და სიზუსტე ჩვეულებრივ დაბალია PTMC-ს ინვაზიურობის გამო. ამდენად, აუცილებელია შესაბამისი სიმსივნური მარკერებისა და პრედიქტორების გამოვლენა PTMC-ს დიაგნოსტიკისა და პრეოპერაციული შეფასების დროს.

კიბოს კვლევებში ნაჩვენებია, რომ მატრიქსული მეტალპროტეინაზები (MMPs), ცინკდამოკიდებული ენდოპროტეაზების ოჯახი, ექსტრაცელულური მატრიქსის, პროტეინებისა და ბაზალური მემბრანის დეგრადაციის უნართ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კიბოსა და მეტასტაზირების მრავალ ეტაპზე. მატრიქსული მეტალპროტეინაზა-2 და 9 წარმოადგენს კოლაგენაზებს, რომლებიც შლიან ბაზალური მემბრანის IV ტიპის კოლაგენს და დიდი მნიშვნელობა აქვთ სიმსივნურ ქსოვილში - ანგიოგენეზს, ინვაზიასა და მეტასტაზირებაში, რადგან ზრდიან პროანგიოგენური ფაქტორების ბიოშელწევადობას. ამიტომ, MMP-2-ისა და MMP-9-ს გამოვლენა არის სიმსივნის ავთვისებიანობისა და პროგრესიის მარკერი. კვლევები გვიჩვენებს, რომ MMP-2-ისა და MMP-9-ს დონე PTMC-ს მქონე პაციენტებში მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე ჯანმრთელ ადამიანებში ან პაციენტებში, რომლებსაც აქვთ ფარისებრი ჯირკვლის კეთილთვისებიანი კვანძები (He et al. 2017; Marečko et al. 2014).

ჰაშიმოტოს თიროიდიტის მქონე პაციენტის ფარისებრი ჯირკვალის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ჯირკვალში ფიქსირდება უმწიფარი ფოლიკულური უჯრედების რაოდენობის ზრდა. საინტერესოა, რომ ზოგიერთი უმწიფარი უჯრედი ხასიათდება p63 ცილის ექსპრესიით და ვლინდება SCN-თან (solid cell nests) მსგავსება, ვარაუდობენ, რომ ეს უჯრედები შეიძლება იყოს ფარისებრი ჯირკვლის ღეროვანი/წინამორბედი უჯრედები. ამ დასკვნებმა შეიძლება დააზუსტოს განმარტება იმის შესახებ, თუ რატომ არის ჰაშიმოტოს დაავადების დროს გამოვლენილი ატიპური ფოლიკულური უჯრედები საექვო პაპილურ თიროიდულ კარცინომაზე, და რატომ შეიძლება გაკეთდეს ციტოლოგიური დიაგნოზის მცდარი ინტერპრეტაცია (Kakudo 2013; Kakudo et al. 2013; Wakasa et al. 2013).

სიმსივნის ცილა p63, ასევე ცნობილი, როგორც ტრანსფორმაციული ცილა 63, ადამიანებში კოდირებულია TP63 გენის მიერ. ეს გენი p53 ტრანსკრიპციული ფაქტორის ოჯახის წევრია. TP63 ჩართულია სხვადასხვა ფუნქციაში: კანის განვითარება, ზრდასრულებში ღეროვანი/წინამორბედი უჯრედების რეგულირება, აპოპტოზი (Como et al. 2002).

ბოლო წლებში სპეციალისტების ყურადღება ფოკუსირდება ანგიოგენეზის ფაქტორებზე, რადგან ანგიოგენეზი ითვლება ზრდის ხელშემწყობ გადამწყვეტ ფაქტორად; ასევე სიმსივნის მეტასტაზირების, de novo სისხლძარღვების წარმოქმნის მასტიმულირებელ ფაქტორად, როგორც ნორმაში, ასევე პათოლოგიის დროს. მკვლევარები ნეოანგიოგენეზს აფასებენ, როგორც მრავალსაფეხურიან პროცესს, დაკავშირებულს უჯრედშორისი მატრიქსის მოდელირებასთან (Ferrara, Gerber and LeCouter 2003; Rzeszutko, Rzeszutko and Dziegiel 2004; Jebreel et al. 2007). მსგავსი მიდგომა აღინიშნება ძუძუს, შარდის ბუშტის, კუჭის, საკვერცხის, საშვილოსნოს ყელის სიმსივნეებში, სადაც გაძლიერებული ანგიოგენეზი ასოცირდება მეტასტაზების განვითარებასთან და ხასიათდება მძიმე პროგნოზით (Anan et al. 1996; Nagura et al. 2001; Viacava et al. 2007).

ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის ცვლილებათა ინდუქციაში დიდ როლს ასრულებს მისი სისხლის მიმოქცევის სისტემის ცვლილება, გაძლიერება ან რედუქცია, ანგიოგენეზის რაოდენობრივი ან თვისობრივი შეცვლა. ანგიოგენეზი წარმოადგენს მრავალსაფეხურიან პროცესს, ესოვილის ბიოპოტენციალის შეფასების წამყვან ფაქტორს (Rzeszutko, Rzeszutko and Dziegiel 2004).

ანგიოგენეზის ფაქტორებიდან აღსანიშნავია სისხლძარღვოვანი ენდოთელური ზრდის ფაქტორი (VEGF), რომელიც თავის მხრივ ორი სახით არსებობს: VEGF-1 და VEGF-2. იგი არის მიკროსისხლძარღვების ამომფენი ენდოთელიოციტების ზრდის სტიმულატორი, შეუძლია გააძლიეროს მათი პროლიფერაცია, როგორც ფიზიოლოგიურ, ისე პათოლოგიურ პირობებში. VEGF-განპირობებული ზოგადი ეფექტი ვლინდება ენდოთელიოციტებში VEGF-2 ექსპრესიით, ამავე დროს, VEGF-1 ასრულებს ანგიოგენეზის რეგულატორის როლს პარაკრინული ეფექტის საშუალებით, ასევე

აუტოკრინული რეგულატორული რგოლის ინჰიბირებით და სხვ (Ferrara, Gerber and LeCouter 2003; Itoh et al. 2009; Saleh et al. 2010).

ნეოვასკულარიზაციასა და მიკროსისხლძარღვების სიმკვრივეს შორის დამტკიცებული კორელაციის მიუხედავად, ფარისებრი ჯირკვლის სტრუქტურული ძვრები ამ პოზიციიდან არასაკმარისად არის შესწავლილი. უფრო მეტიც, არსებობს გამოკვლევები, რომლებიც მიუთითებენ დაავადების გამოვლინებასა და ზრდის ბიოლოგიურ პოტენციალს შორის დისბალანსზე (Sanders and Silverman 1998; Akslen and Livolsi 2000).

ანგიოგენეზი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტრანსფორმირებული ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციაში, როდესაც ენდოთელური უჯრედების პროლიფერაცია უსწრებს თირეოციტების ჰიპერპლაზიას. რიგ ნაშრომებში ნაჩვენებია, რომ ანგიოგენეზის დათრგუნვა შესაძლებელია ზოგიერთი ზრდის ფაქტორით, კერძოდ, ენდოთელიოციტების აპოპტოზის სტიმულატორით, მაგალითად, ენდოსტატინით. ენდოსტატინს შეუძლია გამოიწვიოს ენდოთელიოციტებისა და მათი წინამორბედების ენდოსტატინდამოკიდებული აპოპტოზი (Saleh et al. 2010; Hoffmann et al. 2004; Klubo-Gwiedzinska et al. 2007).

ავტორები თანხმდებიან, რომ იმუნომარკერები CD34, CD31, p27 თიროიდული პარენქიმის ზრდის პოტენციალის ადექვატური ინდიკატორებია. VEGF პროდუქციას თვლიან თირეოტროპინ (TSH)-ინდუცირებულად, რადგან TSH ზრდის ქსოვილში VEGFmRNA ცილის შემცველობას. ანგიოგენეზი ხორციელდება უკვე არსებული ენდოთელიოციტებისაგან ახალი სისხლძარღვების ფორმირების სტიმულაციით. VEGF სისხლძარღვოვანი ენდოთელური ზრდის ფაქტორი სპეციალური მიტოგენია ენდოთელური უჯრედებისთვის. დადგენილია ფარისებრ ჯირკვალში მისი მთავარი ანგიოგენეზური მედიატორის ფუნქცია (Hoffmann et al. 2004; Klubo-Gwiedzinska et al. 2007).

ანგიოგენეზის ფუნდამენტური გამოკვლევები ერთეულია. აშშ-ს ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი (NIH) აქვეყნებს სტატისტიკას 50 რელევანტური გამოკვლევის შესახებ, რომლებიც ადასტურებენ, რომ:

1. VEGF ექსპრესია ადენომატოზური ზრდის დროს უფრო მაღალია, ვიდრე ნორმულ ფარისებრ ჯირკვალში;
2. კარცინომების დროს არსებობს სისხლით მომარაგების განსაკუთრებული სახე - გლომერულური, რომლის წყარო არის ორგანოს ფიბროზული კაფსულა;
3. ახალი კვანძოვანი წარმონაქმნები ხასიათდება VEGF-ის დაბალი ექსპრესიით (Viacava et al. 2007; El Demellawy, Nasr and Alowami 2008).

ბევრი მკვლევარის დასკვნით (Saleh et al. 2010; McHenry and Phitayakorn 2011), ფარისებრ ჯირკვალში ანგიოგენეზის ვიზუალიზაციისთვის სხვადასხვა ანტისხეულების ექსპრესიამ და შეფასების მიზნით ცვლადი პარამეტრების გამოყენებამ შეიძლება მიგვიყვანოს განსხვავებულ შედეგებამდე და დასკვნებამდე. მიკროსისხლძარღვების რაოდენობა განსხვავდება სხვადასხვა ჰისტოლოგიური ტიპის ნეოპლაზიაში. კეთილთვისებიან პროცესში სისხლძარღვების რაოდენობამ გადააჭარბა მათ რიცხვს ავთვისებიან სიმსივნეებში. ასე, მაგალითად, ავთვისებიან სიმსივნეებს შორის მიკროსისხლძარღვების მაქსიმუმი აღმოჩენილი იყო პაპილურ კარცინომაში, რაც შეიძლება აიხსნას სწორედ დაზიანების კონკრეტული ჰისტოლოგიური ტიპით. ამ მონაცემების საშუალებით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ანგიოგენეზი, რომელიც თან ახლავს კეთილთვისებიან ჰიპერტროფულ ცვლილებებს, მათ შორის, დიფუზურ ტოქსიკურ ჩიყვს, რეალიზდება მცირე დიამეტრის მრავალრიცხოვანი სისხლძარღვების ფორმირებით, მაშინ, როდესაც ავთვისებიან სიმსივნეებში წარმოდგენილია დიდი დიამეტრის სისხლძარღვებით (Jebreel et al. 2007). სისხლძარღვებით დაკავებული ფართობი ფარისებრი ჯირკვლის ცალკეულ კვანძოვან წარმონაქმნებში იყო ანალოგიური, მიუხედავად სხვაობისა ახალწარმოქმნილ მიკროსისხლძარღვთა რაოდენობაში, ამიტომ ფარისებრ ჯირკვალში ანგიოგენეზის შესწავლისას გამოყოფენ ახალი წარმონაქმნების ორ სახეობას: ჰიპო- და ჰიპერვასკულარულს (Rzeszutko, Rzeszutko and Dziegiel 2004).

ცნობილია, რომ Hashimoto-ს თიროიდიტი და Greaves დაავადება წარმოადგენს აუტოიმუნური თიროიდიტის ყველაზე ცნობილ და გავრცელებულ ფორმებს. ორივეს ახასიათებს ლიმფოციტური ინფილტრატები და აუტოაქტიურობა თიროიდული

აუტოანტიგენების მიმართ. ქრონიკული ლიმფოიდური თიროიდიტი აუტოიმუნური დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს ფიბროზი, ლიმფოციტური ინფილტრაცია და პარენქიმის ატროფია. Hashimoto-ს თიროიდიტი გამოირჩევა თიროიდული პარენქიმის ინფილტრაციით იმუნოკომპეტენტური უჯრედებით, პარენქიმის დესტრუქციითა და ფიბროზული ქსოვილით ჩანაცვლებით, რასაც თან სდევს ჰიპოთიროიდიზმი. Riedel-ის თიროიდიტისაგან განსხვავებით, HT-ის ფიბროზული ვარიანტის დროს არ არის გამოხატული ექსტრათიროიდული ფიბროზი (Kamisawa et al. 2003; Pearce, Farwell and Braverman 2003).

2.8. რიდელის თიროიდიტი (RT)

რიდელის თიროიდიტი (RT) არის ფარისებრი ჯირკვლის იშვიათი ქრონიკული ანთებითი დაავადება, რომელსაც ახასიათებს ფჯ-ის ნორმული პარენქიმის ჩანაცვლება მკვრივი ფიბროზული ქსოვილით, ასევე ექსტრათიროიდული ფიბროზული პროცესების გააქტივება. სახელდობრ, ფიბროზი ვრცელდება კისრის მიმდებარე რბილ ქსოვილში და ფჯ-ის კაფსულაში. ფიბროზის გავრცელება ფჯ-ის გარეთ ასევე განასხვავებს რიდელის თიროიდიტს ჰაშიმოტოს თიროიდიტის ფიბროზული ვარიანტისგან. პაციენტთა უმრავლესობას აღენიშნება ეუთირეოზი, ან სუბკლინიკური ჰიპოთირეოზი (30%), იშვიათად შეიძლება განვითარდეს ჰიპერთირეოზი, რაც დამოკიდებულია ფჯ-ის პარენქიმის ფიბროზული ქსოვილით ჩანაცვლების ხარისხზე (Schwaegerle, Bauer and Esselstyn 1988).

მიუხედავად იმისა, რომ PTC არის ფარისებრი ჯირკვლის ძირითადი ავთვისებიანი დაზიანება და მოიცავს დიფერენცირებული ფარისებრი კარცინომის უმრავლესობას, ცოტა რამ არის ცნობილი PTC-ში კიბოს ღეროვანი უჯრედების არსებობის შესახებ. XIX საუკუნის ბოლოს, რუდოლფ ვირხოვმა პირველად აღწერა სიმსივნეში მცირე გლობულები, რომლებიც შეიძლება გაიზარდოს დამოუკიდებლად და მისი აღმოჩენა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც კიბოს ღეროვანი უჯრედის თეორია. ამ თეორიის როლი დადგენილია მწვავე მიელოციტური ლეიკოზების, სარძევე ჯირკვლის, მსხვილი

ნაწლავის და პანკრეასის სიმსივნეების წარმოშობაში. აღსანიშნავია, რომ პაციენტების PTC ნიმუშების მოპოვება რთულია, პაციენტებში PTC-ს შედარებით ნელი ზრდით, სიმსივნური უჯრედების ხაზის ნაკლებობით და კიბოს ღეროვანი უჯრედების იზოლაციის არაადექვატური მეთოდებით. კვლევებით დადგენილია, რომ კიბოს ღეროვანი უჯრედების პოპულაციები ვლინდება CD44-ითა და CD24-ით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კიბოს ღეროვანი უჯრედების პოპულაციის უმრავლესობას CD44-ის უფრო მაღალი ექსპრესია ახასიათებს, ვიდრე CD24-ის (Ahn et al. 2014).

უჯრედულ გაყოფას აკონტროლებს ჰომოლოგიური სერინ-თრეონინ კინაზას (ანუ Cyclin-დამოკიდებული კინაზების) ჯაჭვის შეთანხმებული მოქმედება (Cdk). აღწერილია 9 Cdk (Cdk1-Cdk9) და Cyclin-ის (A-დან T-მდე) 15 სხვადასხვა ტიპი, რომლებიც Cyclin-დამოკიდებულ კინაზებთან წარმოქმნიან აქტიურ კომპლექსებს. მიტოზური ციკლის ყოველი ფაზისათვის დამახასიათებელია განსაზღვრული ტიპის Cdk/Cyclin აქტივობა. სასიგნალო მოლეკულების 9 ურთიერთქმედება აკონტროლებს მიტოზური ციკლის მიმდინარეობას. G1-დან S ფაზაში უჯრედების გადასვლაში გადამწყვეტი როლი ენიჭება Cyclin D, E და მასთან დაკავშირებულ Cdk.

ზოგიერთი მონაცემებით Galectin-ის ოჯახის ცილები მონაწილეობენ ზრდის პროცესებში, უჯრედის ადჰეზიის და მიგრაციის პროცესებში, ჩართულები არიან ანთების საწინააღმდეგო პროცესებში. ასევე ცილა Galectin-3 მოქმედებს კიბოს პროგრესირების ყველა სტადიაზე.

კვლევები გვიჩვენებს, რომ Cyclin D1-სა და Galectin 3-ის ექსპრესია ჰაშიმოტო-ასოცირებულ PTMC-ის დროს მიუთითებს მიკროკარცინომის აგრესიულ ქცევასა და მეტასტაზურ პოტენციალზე (Lantsov et al. 2005; Cvejic et al. 2005).

ფჯ-ის დაავადებათა შორის პოტენციურად პრეკანცერული ფონური პროცესები, რომლებიც ხასიათდება უმწიფარი ფოლიკულური უჯრედების დიდი რიცხვით, ასევე p63 ცილის ექსპრესიით, გვაფიქრებინებს ღეროვანი პოტენციალის არსებობაზე ასეთ უჯრედებში. აქედან გამომდინარე, კვლევის სამუშაო ჰიპოთეზის სახით შეიძლება გამოვთქვათ შემდეგი მოსაზრება: ატიპური ფოლიკულური უჯრედების ბირთვთა „კარცინომა-ტიპური“ თავისებურებანი, ჩვენი დაშვებით, ასოცირებული უნდა იყოს

HT-ის დროს Cyclin D1-სა და Galectin 3-ის ექსპრესიასთან, ხოლო ეს უკანასკნელი კი 11q23 ქრომოსომის (Cyclin D1-ის გენის ლოკაცია) ამპლიფიკაციასთან, რაც განსაკუთრებით ხშირია აუტოიმუნური თიროიდიტების დროს.

ამჟამად არსებული მონაცემების მიხედვით, ფარისებრი ჯირკვლის არასიმსივნური და ანთებითი დაავადებების პათომორფოზის საკითხები კლინიკური ენდოკრინოლოგიისა და პათოლოგიის აქტუალურ პრობლემად რჩება. მრავალრიცხოვან მიმოხილვით სტატიებში საკმარისად დაწვრილებით და სხვადასხვა პოზიციებიდან განხილულია კლინიკური თავისებურებანი, დიაგნოსტიკის საკითხები და მკურნალობა (Dionigi 2018). განსაკუთრებით აქტიურია კვლევები ზრდის ფაქტორების (growth factors) როლის შესახებ ფარისებრი ჯირკვლის „კლასიკური“ და აუტოიმუნური კვანძოვანი პროცესების განვითარებაში (Zimmermann et al. 2004; McHenry and Phitayakorn 2011; Rurua, Gogiashvili and Tsagareli 2013; Eszlinger et al. 2001; McHenry and Phitayakorn 2011).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, განისაზღვრა კვლევის მიზნები და ამოცანები:

1. ფარისებრი ჯირკვლის მიკროკარცინომის ჰისტოპათოლოგიური და მოლეკულურ-ბიოლოგიური პროფილის შესწავლა/სისტემატიზაცია ფარისებრი ჯირკვლის პირობით პრეკანცერული ფონური პროცესების სტრუქტურული დასაბუთებისა და პროგნოზირების მიზნით.
2. იმუნოჰისტოქიმიური მარკერების ექსპრესიის შედარებითი შეფასების გზით შერჩეულ იქნას ლიმფოციტური და აუტოიმუნური თიროიდიტების ფონზე განვითარებული PTMC-ის პროგნოზული კრიტერიუმები (ინვაზია, მეტასტაზი, რეციდივი).
3. დადგინდეს შესაძლო სტრუქტურული წინაპირობების არსებობა აუტოიმუნურ თიროიდიტსა და მის ფონზე განვითარებულ პაპილურ მიკროკარცინომას შორის.

3. გამოკვლევის მასალა და მეთოდები

გამოკვლევის მონაცემთა ბაზას წარმოადგენს ორივე სქესის პაციენტებიდან მიღებული ოპერაციული მასალა ტოტალური თიროიდექტომიის, ფჯ ცალმხრივი ლობექტომიის და ნაწილობრივი რეზექციის შემდეგ (n=68). ასევე გამოყენებულია რეტროსპექტიული მასალა (n=48). მასალა მიღებულია თბილისის კლინიკებიდან და დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრიდან.

პაციენტებს ჩაუტარდათ ტოტალური თიროიდექტომია სხვადასხვა მიზეზით. მათ შორის: ფჯ ზომაში მომატება, ტრაქეის სტენოზი სუნთქვის გაძნელებით გადიდებული ფარისებრი ჯირკვლის გამო, ტკივილი, კვანძოვანი დაზიანება, პაპილური კარცინომა.

კლინიკური მონაცემები, ლაბორატორიული და ულტრასონოგრაფიული მაჩვენებლები, მკურნალობისა და ოპერაციული ჩარევის მეთოდები მიღებულია შესაბამისი კლინიკური დოკუმენტებიდან პაციენტის წერილობითი ინფორმირებული თანხმობით. ყველა დაკვირვება და მანიპულაცია ჩატარდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოეთიკური კომისიის მოთხოვნების შესაბამისად ჰელსინკის ეთიკური პრინციპების დეკლარაციაზე დაყრდნობით (WMA 2013).

3.1. ჰისტოლოგიური კვლევის მეთოდები

ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა უბნებიდან აღებული ქსოვილოვანი ნიმუშები ფიქსირდებოდა 10% ფორმალინის ბუფერულ ხსნარში (pH=7.35). დეჰიდრატაციის შემდეგ მასალის ჩაყალიბება ხდებოდა პარაფინის ბლოკებში. სერიული ანათლები იღებებოდა ჰემატოქსილინითა და ეოზინით (H&E).

3.2. Hashimoto-ს თიროიდიტის და PTC-ის კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემების შეფასება

ქირურგიული წესით ამოკვეთილი ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილოვანი ფრაგმენტები დაფიქსირდა ფორმალინის 10% ნეიტრალურ ბუფერულ ხსნარში და ჩაყალიბდა პარაფინში. სერიული ანათლები (4მკმ სისქის) ყველა გამოკვლეული ბლოკიდან იღებებოდა ჰემატოქსილინით და ეოზინით, ასევე იმუნოჰისტოქიმიური მეთოდებით. შესწავლილია თითოეული შემთხვევიდან ხუთზე მეტი ჰემატოქსილინით და ეოზინით შეღებილი ანათალი. ერთი ბლოკის პრინციპით შერჩეული იყო მასალა იმუნოჰისტოქიმიური მარკერებისთვის. ყურადღებას ვაქცევდით შემდეგ ჰისტოლოგიურ თავისებურებებს: სტრომის ფიბროზი, ლიმფოპლაზმოციტური ინფილტრაცია, ფარისებრი ჯირკვლის ფოლიკულების ზომა, ფოლიკულურ უჯრედთა დეგენერაცია, გიგანტურუჯრედოვანი და/ან ჰისტოციტური ინფილტრაცია, ასევე სოლიდურ უჯრედთა ბუდობრივი ჰიპერპლაზია და ბრტყელუჯრედოვანი მეტაპლაზია. ამ კრიტერიუმების გამოყენება ხელს უწყობს სტრომის ფიბროზის ხარისხის შეფასებას: 3+, თუ თიროიდული პარენქიმის ნახევარი ჩანაცვლებულია ფიბროზული ქსოვილით, 2+, თუ 1/3 პარენქიმისა ჩანაცვლებულია ფიბროზული ქსოვილით; 1+, თუ 1/3-ზე ნაკლები თიროიდული პარენქიმა ჩანაცვლებულია ფიბროზული ქსოვილით და -, თუ ფიბროზი არ არის თვალსაჩინო.

3.3. იმუნოჰისტოქიმიური კვლევის მეთოდები

კვლევის მიზანი იყო p63, CD56, TTF-1, Cyclin D1 და S-100 ცილის ექსპრესიის აქტივობის კვლევა ფარისებრი ჯირკვლის ყველა შესწავლილი დაზიანების დროს.

ცილა S-100 რეცეპტორული სტატუსის კვლევა Hurtle-ს თირეოციტებში, რომლებიც არ ექსპრესირებენ TSH-ს, გამოავლენს ამ უჯრედთა პროლიფერაციით მიმდინარე პროცესებს (გამოყენებულია პოლიკლონური ანტისხეულები RTU-S100p ნეიროენდოკრინული გენეზის სტრუქტურებისთვის).

ადამიანის TTF-1 არის 38 Kd ბირთვული პროტეინი (NK-2 ჯგუფის ტრანსკრიპციის ფაქტორი) ასრულებს რა სარეგულაციო ცილისა და ორგანოგენეზის მარეგულირებელი ფაქტორის როლს, მას ახასიათებს ფილტვის, ტვინის და ფარისებრი ჯირკვლის ნორმულ და ნეოპლაზიურ ქსოვილში მაღალი ექსპრესია, რის გამოც წარმოადგენს ფარისებრი ჯირკვლის ავთვისებიანი ზრდის მნიშვნელოვან მარკერს.

ცრუ დადებითი და ცრუ უარყოფითი შედეგების გამორიცხვის მიზნით იმუნოჰისტოქიმიური რეაქციები ჩატარდა განმეორებით რეჟიმში, ასევე სხვა თიროიდული პათოლოგიის დროს.

ჩვენს მასალაში ყველა შესწავლილი თიროიდული პათოლოგია დაყოფილია 6 ჯგუფად (ცხრილი N1).

ცხრილი N1. შემთხვევების რაოდენობა შესწავლილ ჯგუფებში.

პათოლოგია	შემთხვევების რაოდენობა
PTC	14
PTMC	12
HT	32
HT+PTC	8
RT	5
დტჩ	45

ყველა ანათალი აღებულია poly-L-lysine-თ დაფარულ სასაგნე მინაზე. რეაქციის თანმიმდევრობა შემდეგია:

- 1) დეპარაფინიზაცია, რეჰიდრატაცია და ინკუბაცია 30 წთ 3% H₂O₂ ხსნარში;
- 2) 20 წთ. ფოსფატურ ბუფერში დაყოვნება (PBS);
- 3) ანტიგენის დემასკირება მიკროტალღური ღუმელის რეჟიმში (600W20 წთ.) ციტრატულ ბუფერში გაცივების ფაზებით (0.01μ;PH 6.0).

ანათლების ინკუბაცია ხდებოდა პირველად ანტისხეულებთან 1 საათით ოთახის ტემპერატურაზე, სამჯერადი გარეცხვით PBS ოთახის ტემპერატურაზე, მეორადი ანტისხეულებით ზემოქმედება და იმუნური კომპლექსების იდენტიფიკაცია სტრუქტავიდინპეროქსიდაზას საშუალებით. ინკუბაცია ხდებოდა:

- 1) p63 (clone 7JUL, Leica, UK)
- 2) CD56 (Bond RTU Leica, UK)
- 3) TTF-1 ანტისხეულები (clone SPT24, Novocastra, UK);
- 4) CyclinD1 (clone D-6, Dako, Denmark)
- 5) ცილა S-100 (clone RTU-S100p Polyclone Antibodies, Biogenex, USA).

შედგების ვიზუალიზაცია ტარდებოდა 0,05% 3,3 დიამინობენზიდინისა და წყალბადის ზეჟანგის გარემოში, ბირთვების დაღებვა ხდებოდა ჰემატოქსილინით, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა – DPX. იმუნოჰისტოქიმიური პროცედურები განხორციელდა ანტისხეულების მწარმოებლის პროტოკოლების დაცვით (BioGenex, USA; Novocastra, UK).


p63, CD56, TTF-1, CyclinD1 და ცილა S-100 ექსპრესიის ინტენსივობას ვითვლიდით ნახევრად რაოდენობრივი მეთოდით, შემდეგი სქემით: უარყოფითი (0), 1= \leq 10%; 2=11-50%; 3=51-80%; 4= \geq 80%

სტატისტიკური ანალიზისთვის გამოიყენებოდა პროგრამა Microsoft Excel 7.0, ასევე SPSS/PS ვერსია 21.0 Windows-თვის, საჭიროების დროს ჩართული იყო X^2 კრიტერიუმი, Mann–Whitney U ტესტი. შესადარებელ ჯგუფებს შორის ზღვარი $P \leq 0.05$ ითვლებოდა სტატისტიკურად სარწმუნოდ.

4. საკუთარი გამოკვლევის შედეგები


4.1. დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვის (დტჩ) ჰისტოლოგიური კვლევის შედეგები

ჰემატოქსილინ-ეოზინით (H&E) შეღებილ მასალაში დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვის (დტჩ) დროს ფოლიკულების ზომების მკვეთრად გამოხატულ ჰეტეროგენობასთან ერთად აღსანიშნავია ფოლიკულების ამომწვენი A-ტიპის თირეოციტების ჰიპერპლაზია, მსხვილი ბირთვი, ბირთვაკები. დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ფოლიკულის სანათურის გაფართოება, ფოლიკულების ბაზალური მემბრანის გასქელება და უჯრედის პლაზმური მემბრანის მოდიფიკაცია, რაც გულისხმობს ზედაპირული მიკროხაოების, წანაზარდების, პაპილებისა და დატოტვილი სტრუქტურების ფორმირებას (სურათი N1).



სურათი N1. დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვის ქსოვილის ფრაგმენტი: 1 - პლაზმური მემბრანის მოდიფიკაცია - მიკროხაოები, წანაზარდები, პაპილები. 2 - ფოლიკულის სანათურის გაფართოება. H&E. X200.

არაიშვიათად წარმოდგენილი იყო პარენქიმის უბნები ფოლიკულურ უჯრედთა ბირთვების დისკარიოზით და პოლიმორფიზმით (სურათი N2).




სურათი N2. დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვი, ფოლიკულურ უჯრედთა ბირთვების დისკარიოზი, პოლიმორფიზმი (1), ატიპია (2).H&E. X1000.

ჩვენს შემთხვევებში დტჩ-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი იყო არაერთ მხედველობის ველში აღმოჩენილი თირეოციტების ნეკროზი პიკნოზით. პარენქიმაში გამოხატულია აქტიური ფიბროპლასტიკურ ცვლილებათა ტენდენცია კაპილარების ბაზალური მემბრანების გასქელებით და ექსტრაფოლიკულური ფიბროზით (სურათი N3).

ჰიპერთირეოზის დროს არაიშვიათად ვნახულობთ მრავალშრიან ბაზალურ მემბრანას, მის ნაკეცებს, ნაოჭებს, რაც კაპილართან მისი საკონტაქტო ზედაპირის ზრდას ემსახურება.

დტჩ-ს დროს ჩიყვის ქსოვილში, გარდა პარენქიმულ ელემენტთა რეაქციისა, მნიშვნელოვნად იყო ტრანსფორმირებული ფოლიკულებს შორის სტრომის ელემენტები, დამახასიათებელი იყო ფიბროზული ქსოვილის გროვები რანდომიზებული ჭარბუჯრედოვანი კონების სახით, რაც მათ უმწიფარობაზე მეტყველებს. კოლაგენის ბოჭკოების შესივების, დეფიბრილიზაციისა და ფრაგმენტაციის პარალელურად ადგილი ჰქონდა მათ დესტრუქციას, მთელი კონის ჰომოგენიზაციას და ლიზისს. მუდმივად


გვხვდებოდა ფიბროზი და ჰიალინოზი სტრომისა და მსხვილი სისხლძარღვების კედელში.



სურათი N3. დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვი. ფარისებრი ჯირკვლის პარენქიმაში გამოხატულია ფიბროპლასტიკური ცვლილებები ექსტრაფოლიკულურად ფიბროზული ქსოვილის კონების და კოლაგენის მსხვილი ბოჭკოების სახით. H&E. X100.

დასახელებულ ცვლილებათა პარალელურად, ჩვენს მასალაში მუდმივად გვხვდებოდა ლიპომატოზის კერები როგორც ინტერფოლიკულურ სივრცეში, ასევე სტრომაში (სურათი N4).

შემაერთებელქსოვილოვანი სტრომის ცვლილებებს თან სდევს მიკროცირკულაციური კალაპოტის გარდაქმნაც, განსაკუთრებით დამახასიათებელია კაპილარიზაციის მაღალი ხარისხი, რაც გამოიხატება არამარტო სანათურების გაგანიერებით და ჰიპერემიით, არამედ კაპილარების ჭარბი კლავნილობით, ფოლიკულების კედელთან მისი ზედმიწევნით ახლო დისპოზიციით.




სურათი N4. დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვი. ლიპომატოზის კერები როგორც ინტერფოლიკულურ სივრცეში, ასევე სტრომაში. H&E. X100.

როგორც ჩატარებული გამოკვლევების შედეგები მოწმობენ, ჰიპერთირეოიდული მდგომარეობისთვის ფჯ სტრუქტურაში დამახასიათებელია ფოლიკულების ამომფენი A-ტიპის ეპითელური უჯრედების ჰიპერპლაზიის სამი ვარიანტი:


1. ნაკეცებისა და ნაოჭების წარმოქმნა ფოლიკულის კედელში;
2. დვრილისებრი გამონაზარდები – ე. წ. პაპილური ჰიპერპლაზია და ჰიპერტროფია;
3. მრავალშრიანი, “ბალიშისებრი” სტრუქტურების ფორმირება - თირეოციტების სტრატეფიკაციის ფენომენი.

შემთხვევათა 42%-ში ვნახეთ ლიმფოპლაზმოციტური ინფილტრაცია, რომელსაც აქვს ფოკალური ხასიათი და ხშირ შემთხვევაში არ იწვევს ლიმფოიდური ფოლიკულების ფორმირებას სტრომაში (სურათი N5). 30%-ში ადგილი აქვს ინტერფოლიკულური სტრომის გასქელებას, აქტიურ დესმოპლაზიურ რეაქციებს, მასიურ ლიმფოპლაზმოციტურ ინფილტრაციას, რაც მნიშვნელოვანია დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის ჰაშიმოტოს თიროიდიტთან შედარებისა და დიაგნოსტიკური კრიტერიუმების შემუშავების თვალსაზრისით. ამავდროულად ადასტურებს აქტიურ იმუნურ სტატუსს, რაც დტჩ-ს აუტოიმუნურ პათოლოგიად განხილვის მნიშვნელოვანი არგუმენტია.



სურათი N5. დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვი. ლიმფოციტური ფოლიკულის ფორმირება ფარისებრი ჯირკვლის სტრომაში. H&E. X400.


მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ძირითადი განმასხვავებელი ტენდენცია ლიმფოპლაზმოციტური ინფილტრაციის ფორმებს შორის ჰაშიმოტოს თიროიდიტსა და დტჩ-ს მასალაში, რაც ჩვენ დავაფიქსირეთ. სახელდობრ, აუტოიმუნური თიროიდიტი (Hashimoto), როგორც წესი, მიმდინარეობს ორგანოს პარენქიმის კომპრესიით, ფოლიკულების ატროფიით, რედუქციით, ამ ფონზე მიკროფოლიკულური სტრუქტურების რაოდენობის მატებითა და ცისტური ტრანსფორმაციის კერების გაჩენით, საყურადღებოა ჰორმონმაპროდუცირებელი „A“ ტიპის თირეოციტების განლევა და ჩანაცვლება ლიმფოპლაზმოციტური ინფილტრაციის მსხვილი უბნებით, რომელიც ხშირად გამოხატული ლიმფოეპითელური დაზიანების ნიშნებს ატარებს (სურათი N6).



სურათი N6. დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვი. ცისტური ტრანსფორმაციის მსხვილი კერა, მიკროფოლიკულების ჯგუფები, კოლოიდის „შეჭმუხვნა“. H&E. X100.

ასეთი უბნების გვერდით აღინიშნება პარენქიმის ჰომოგენიზაციის ნიშნები, შენარჩუნებული ფოლიკულები იყო მცირე ზომის, რედუცირებული, კოლოიდის შეჭმუხვით (სურათი N7).


სავარაუდოა, რომ ნეკროზი ჰაშიმოტოს თიროიდიტის დროს T-ლიმფოციტების ციტოტოქსიური ეფექტით უნდა იყოს ინდუცირებული, რაც სხვა კვლევებითაც დასტურდება (Rydzewska et al. 2018). T-ლიმფოციტებით ინდუცირებული ნეკროზი და დიფუზური ფიბროზი ასევე წარმოადგენს ამ ორი აუტოიმუნური პათოლოგიის განმასხვავებელ ნიშანს, თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრება, K. Kakudo და თანაავტორების მონაცემებითა და შეფასებით, Hashimoto-ს თიროიდიტს არ ახასიათებს ნეკროზული დაზიანება პარენქიმის ქსოვილში (Kakudo et al. 2015).




სურათი N7. დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვი. ფარისებრი ჯირკვლის პარენქიმის ჰომოგენიზაცია, ფოლიკულების რედუქცია. H&E. X200.

4.2. რიდელის თიროიდიტის (RT) ჰისტოლოგიური კვლევის შედეგები


რიდელის თიროიდიტის უმნიშვნელოვანესი ჰისტოპათოლოგიური ნიშანია ფარისებრი ჯირკვლის პარენქიმის მიზანმიმართული ჩანაცვლება უხეში ფიბროზული შემადგენელი ქსოვილით თანმხლები ჰორმონმაპროდუცირებელი უჯრედების რიცხვისა და ზომების შემცირება, ინვოლუცია. დამახასიათებელია მცირე ფოლიკულური სტრუქტურები, თუმცა გვხვდება ცალკეული გიგანტური ფოლიკულიც მკვეთრად ფიბროზირებული კედლით (სურათი N8), ზოგადი ძლიერი ფიბროზი (სურათები N9; N10).



სურათი N8. რიდელის თიროიდიტი. გიგანტური ფოლიკული მკვეთრად ფიბროზირებული კედლით. H&E, X40.




სურათი N9. რიდელის თიროიდიტი. ფარისებრი ჯირკვლის სტრომაში უხეშოპკოვანი ფიბროზული ქსოვილის ჩაზრდა. H&E, X400.



სურათი N10. რიდელის თიროიდიტი. ფარისებრი ჯირკვლის ფოლიკულების ინვოლუცია, პარენქიმის ჩანაცვლება უხეშბოჭკოვანი ფიბროზული ქსოვილით. H&E, X100.

ფარისებრი ჯირკვლის პარენქიმა იცვლება ჰიალინიზებული ბოჭკოვანი ქსოვილით, პარალელურად ცალკეულ უბნებში ადგილი აქვს ანთებითი ხასიათის ცვლილებებს: საკუთრივ ქრონიკული ლიმფოციტური ანთებითი ინფილტრატის ზომები ვარიაბელურია, შეიძლება იყოს საკმაოდ ვრცელი, როგორც წესი, ასეთ კერებში წარმოდგენილია მსხვილი პლაზმური უჯრედები (სავარაუდოდ IgG-4 წარმომქმნელი), ლიმფოციტებითა და მაკროფაგებით (სურათი N11), აქვე აღწერილია ეოზინოფილური ინფილტრატები.

რიდელის თიროიდიტის დიფერენცირება საჭიროა ჰაშიმოტოს თიროიდიტის ფიბროზული ვარიანტისგან. ჰაშიმოტოს თიროიდიტის დროს ფიბროზი შემოიფარგლება მხოლოდ ფარისებრი ჯირკვლით, ფოლიკულურ ეპითელიუმში კი ხშირია ოქსიფილური ცვლილებები, რაც დასტურდება სხვა კვლევებშიც (Darouichi and Constanthin 2016).




სურათი N11. რიდელის თიროიდიტი. ფარისებრი ჯირკვლის ფოლიკულებს შორის სივრცეში ლიმფოციტური ინტენსიური ინფილტრაციის კერა ფოლიკულის კომპრესიით და დეფორმაციით. H&E, X200.

4.3. ჰაშიმოტოს თიროიდიტის (HT) ჰისტოლოგიური კვლევის შედეგები

ჩვენი კვლევის ძირითადი ამოცანიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა ქირურგიული წესით ამოკვეთილი ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილოვანი ფრაგმენტების ანალიზი. ერთმნიშვნელოვნად, ნიმუშები დაფარული იყო შემომსაზღვრელი შემაერთებელქსოვილოვანი კაფსულით, რომელიც არ იყო მჭიდროდ შეზრდილი ქვემდებარე სტრუქტურებთან. ეს გარემოება გამორიცხავს, როგორც წესი, რიდელის თიროიდიტის დიაგნოზს, რომელთანაც მუდმივად საჭირო ხდება დიფერენციალურ-დიაგნოსტიკური პარალელების გავლება, განსაკუთრებით HT ფიბროზული ვარიანტის დროს. ნეკროზი ან კალციფიკაცია არ აღინიშნებოდა.

H&E შედეგებზე პრეპარატებზე აღინიშნებოდა დიდი რაოდენობით ექსტენსიური ლიმფოციტური ინფილტრაციის კერები, რომლებიც აგრესიულად ჩაანაცვლებდნენ

ჯირკვლოვან ელემენტებს, სჭარბობდნენ პლაზმური უჯრედები. პარალელურად, წარმოდგენილი იყო სტრომის მკვეთრი, უხეშობაკოვანი ფიბროზი, რაც მნიშვნელოვან განმასხვავებელ ნიშნებს წარმოადგენს HT-ის ფიბროზულ და ლიმფოიდურ ფორმებს შორის (სურათი N12).




სურათი N12. ჰაშიმოტოს თიროიდიტი. ლიმფოიდურუჯრედოვანი ინფილტრაციის მსხვილი კერა ფოლიკულებს შორის, სტრომის ფიბროზი ფოლიკულების ინვოლუციით და კომპრესიით. H&E, X200.

თვალსაჩინოა ფარისებრი ჯირკვლის ფოლიკულების ატროფიულ-ინვოლუციური ცვლილებების სურათი, სავარაუდოდ, როგორც ლიმფოიდური ინფილტრატით კომპრესიის შედეგი (სურათი N13).

საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ ჰაშიმოტოს თიროიდიტის ლიმფოიდური ფორმის დროს. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სტრომაში პლაზმურუჯრედოვან ინფილტრაციას, მაგრამ ნაკლები ინტენსივობით. ინტერფოლიკულური ფიბროზი წარმოადგენს ისეთ ცვლილებას, როდესაც იზრდება ფიბროზული ქსოვილის შემცველობა ფოლიკულებს შორის სივრცეში, რაც ცაკლეული თიროიდული ფოლიკულის იზოლაციას ახდენს.

ასევე იზოლირებულია სისხლძარღვთა სანათურები პერივასკულური ფიბროზის გამო (სურათი N13).




სურათი N13. ჰაშიმოტოს თიროიდიტი. ფარისებრი ჯირკვლის ფოლიკულების ინვოლუცია, ექსტენსიური ლიმფოციტური ინფილტრაცია ფოლიკულებისა და სისხლძარღვთა სანათურების ირგვლივ. H&E, X100.

ცალკეულ შემთხვევაში აღინიშნებოდა მკვრივი, კელოიდის მსგავსი ფიბროზი ფიბროზული ქსოვილის ჩაზრდით ცალკეულ ფოლიკულს შორის სივრცეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მასალაში დაფიქსირდა ჰაშიმოტოს თიროიდიტის ფიბროზული ფორმის სამივე ვარიანტი (1. ინტერლობულური (წილაკთაშორისი); 2. ინტერფოლიკულური; 3. ნაწიბუროვანი), რომლებიც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა კომბინაციაში, მაგრამ დომინანტური იყო ერთ-ერთი, რომელიც იკავებს ორგანოს ქსოვილის ნახევარს მაინც.


ჰაშიმოტოს თიროიდიტის ის ვარიანტები, რომელთაც არ ახასიათებდათ გამოხატული სკლერო-ფიბროზული კერები, წარმოდგენილი იყო ვრცელი ლიმფო-პლაზმოციტური ინფილტრაციის უბნებით, დიდი ზომის გერმინაციული ცენტრით და

არაპროპორციულად მსხვილი ფოლიკულების შერწყმით. თუმცა ამ ვარიანტშიც ადგილი ჰქონდა ინტერფოლიკულურ ფიბროზს პარენქიმული ელემენტების შემცირებით, მკვრივი ფიბროზული კონების მიერ მოსაზღვრე თიროიდული ფოლიკულების ჩანაცვლებას (სურათები N13; N14).



სურათი N14. ჰაშიმოტოს თიროიდიტი. ინტერფოლიკულური ფიბროზი პარენქიმული ელემენტების ზომისა და რაოდენობის შემცირებით, ატროფიით. მკვრივი ფიბროზული კონების მიერ მოსაზღვრე თიროიდული ფოლიკულების ჩანაცვლება. H&E, X400.

ჰაშიმოტოს თიროიდიტის ფიბროზული ვარიანტისთვის დამახასიათებელია დიდი რაოდენობით ლიმფოციტებისა და პლაზმური უჯრედების პენეტრაცია ფოლიკულურ ეპითელურ უჯრედებს შორის სივრცეში, რაც იწვევს ფოლიკულების ბაზალური მემბრანის გასქელებას, დაზიანებას ფრაგმენტაციის სახით და ფოლიკულური უჯრედების ატროფიას (სურათი N15).




სურათი N15. ჰაშიმოტოს თიროიდიტი. გერმინაციული ცენტრის მქონე ლიმფოიდური ფოლიკულის ირგვლივ თიროიდული პარენქიმის ატროფია. H&E, X200.

აღნიშნული ცვლილებები იწვევს თიროიდული ქსოვილის ჩვეული არქიტექტონიკის რღვევას, გადაწყობას, პარენქიმის ჩანაცვლებას ფიბროზული ქსოვილით, რომელიც უკავშირდება ექსტენსიურ ლიმფოპლაზმოციტურ ინფილტრაციას. რედუცირებული ფოლიკულები წარმოდგენილია მცირე ზომის მიკროფოლიკულური კუნძულებით, მცირე რაოდენობით მკვრივი კოლოდით ან მის გარეშე.

სხვა შემთხვევებში ანტითიროიდული ანტისხეულების (anti-TPO) დაბალი ტიტრის დროს ფოლიკულურ უჯრედთა ინვოლუცია გავრცელების მიხედვით უფრო მსუბუქ ხასიათს ატარებს. ხოლო ლიმფოიდური ფოლიკულები კარგად განვითარებული ნათელი გერმინაციული ცენტრებით, სადაც მკვეთრად ჩანს პლაზმური უჯრედები და დიდი ლიმფოციტები, წარმოადგენს ერთ-ერთ სადიაგნოსტიკო კრიტერიუმს ჰაშიმოტოს თიროიდიტის დასახასიათებლად (სურათი N16).



სურათი N16. ჰაშიმოტოს თიროიდიტი. ლიმფოიდური ფოლიკულში გერმინაციული ცენტრი შეიცავს მსხვილ პლაზმურ უჯრედებს. (სურათი N15-ის ფრაგმენტი). H&E, X400.



სურათი N17. ჰაშიმოტოს თიროიდიტი. მსხვილი და საშუალო ყალიბის სისხლძარღვთა (1) კედლის ფიბროზი ირგვლივ ლიმფოიდური ინფილტრაციით. H&E, X200.


თიროიდიტის თავისებურებას წარმოადგენს დისცირკულაციური ცვლილებები, განსაკუთრებით, მსხვილი და საშუალო ყალიბის არტერიების კედლის ფიბროზი (სურათი N17).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუდმივად ვატარებდით შედარებით შეფასებას ანტითიროიდეული ანტისხეულების ტიტრებთან. სწორედ მაღალი ტიტრის პარალელურად აღინიშნება გიგანტური უჯრედების მაღალი სიხშირე ისეთ შემთხვევებში, სადაც anti-TPO-ს ტიტრი არ იყო მკვეთრად მომატებული, გიგანტური უჯრედების აკუმულაცია წარმოდგენილია მხოლოდ ფიბროზულ სტრომაში. აქ ისინი ლაგდებიან დაშლილი თიროიდეული ფოლიკულების, ლიმფოციტებისა და პლაზმური უჯრედებისგან შემდგარ უჯრედულ დეტრიტულ მასაში ან ფოლიკულების სანათურში განიცდიან პენეტრაციას.


4.4. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის (PTC) და მიკროკარცინომის (PTMC) ჰისტოლოგიური კვლევის შედეგები

H&E შედეგებზე მასალაში პაპილური კარცინომისთვის დამახასიათებელია შემდეგი ცვლილებები:

- ბირთვის ცვლილებები: ბირთვის ზომისა და ფორმის შეცვლა (გაფართოება, დაგრძელება).
- ქრომატინის მახასიათებლები: გამჭვირვალე ქრომატინი, მინისებური ბირთვები (Orphan Annie nuclei) (სურათი N18).
- ბირთვის მემბრანის რღვევა: არარეგულარული კონტური, ბირთვული ღარები და ბირთვში ფსევდოინკლუზიები (ციტოპლაზმური ინვაგინაციები) (სურათები N18; N19).




სურათი N18. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა (კლასიკური ვარიანტი). გამჭვირვალე, მინისებრი ბირთვები (1) პაპილური ფორმის სტრუქტურებში. H&E, X200.




სურათი N19. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა. სიმსივნურ უჯრედებში ბირთვული ღარები და ბირთვული ფსევდონუკლეოზიები (ციტოპლაზმური ინვაგინაციები). H&E, X400.

ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის ვარიანტები:

კლასიკური: კომპლექსური, განშტოებული, შემთხვევით ორიენტირებული პაპილები ფიბროვასკულური გულგულით (core) (სურათი N20). მკვლევარების ჯგუფი ვარაუდობს, რომ სიმსივნეები, როგორც პაპილური, ასევე ფოლიკულური არქიტექტონიკით უნდა კლასიფიცირდეს კლასიკურ ვარიანტად, კვანძოვან მეტასტაზებთან ასოცირებული რისკის გათვალისწინებით (Xu et al. 2019).



სურათი N20. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა. კომპლექსური, განშტოებული და შემთხვევით ორიენტირებული პაპილები ფიბროვასკულური გულგულით (1); ვრცელი ლიმფოიდური ინფილტრაციის კერა (2). H&E, X200.




სურათი N21. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური მიკროკარცინომა. სიმსივნური ველი წარმოდგენილია მაკრო- და მიკროფოლიკულური „ყურძნის მტევნის“ მსგავსი არქიტექტონიკით, აქვე ტიპური ფიბროვასკულური ცენტრალური გულგული (1). H&E, X200.

ფოლიკულური: სიმსივნური უჯრედები განლაგებულია მაკრო- ან მიკროფოლიკულების მსგავსი ფორმით ცენტრალური გულგულით (სურათი N21).

დიფუზურ-სკლეროზული ცვლილებები: უფრო ხშირად გვხვდება ახალგაზრდა ასაკის პაციენტებში ფონური ქრონიკული ლიმფოციტური თიროიდიტით (სურათი N20). ასევე ხშირია ფსამომური სხეულები, სქვამოზური მეტაპლაზია.


სოლიდური ვარიანტი: სიმსივნე ყალიბდება მყარი, მკვრივი, იზოლირებული ზრდით. შეიძლება შეგვხვდეს სიმსივნური უჯრედების ბუდობრივი აგრეგაცია („nest“), ასევე აღინიშნება კომბინირებულად რამდენიმე ვარიანტი (მაგ. პაპილური და ფოლიკულური) (სურათი N22).




სურათი N22. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა. სიმსივნურ ველში სიმსივნური უჯრედების ბუდობრივი აგრეგაცია („nest“). H&E, X400.

უჯრედების ციტოლოგიური ტიპები:

მაღალი უჯრედები (Tall cell): უჯრედები, რომელთა სიმაღლე სიგანესთან შედარებით მინიმუმ 2-3-ჯერ მეტია; ხშირად ასოცირდება დაჭიმულ, წაგრძელებულ „ტრამვაის ლიანდაგის“ („tram-track“) მსგავს პაპილებთან (სურათი N23), ეოზინოფილურ ციტოპლაზმასთან (მიტოქონდრიების დაგროვების გამო) და ხშირ ბირთვულ ფსევდონუკლეოზიებთან (ციტოპლაზმური ინვაგინაციები); სიმსივნე შეიძლება განისაზღვროს, როგორც მაღალუჯრედული ვარიანტი, თუ სიმსივნის მინიმუმ 30% შეიცავს მაღალ უჯრედებს (სურათი N24), რაც, თავის მხრივ, აგრესიული უჯრედული ტიპის სახით არის ცნობილი.



სურათი N23. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა. სიმსივნური პარენქიმის არქიტექტონიკა „ტრამეის ლიანდაგის“ ("tram-track") მსგავსად. H&E, X400.




სურათი N24. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა. სიმსივნის მაღალუჯრედოვანი (Tall cell) ვარიანტი, სიმსივნური სტრომის ჰიალინიზაციის უბანი (1). H&E, X400.

სვეტისებრი უჯრედები (Columnar cell): სიგარის ფორმის ბირთვები ბირთვული

ფსევდოსტრატიფიკაციით; სიმსივნე შეიძლება განისაზღვროს, როგორც სვეტისებრი უჯრედის ვარიანტი, თუ სიმსივნის მინიმუმ 30% შეიცავს მსგავს უჯრედებს.

„მეწაღის ლურსმნისებრი“ უჯრედები (Hobnail): სიმსივნურ უჯრედებს აქვთ მაღალი ბირთვულ-ციტოპლაზმური თანაფარდობა, ბირთვები წაგრძელებულია, სანათურში ამოწეული შემსხვილებული თავებით.

ჩვენს მასალაში გამოვლინდა როგორც ლურსმნისებრი, ასევე სვეტისებრი და თითისტარისებრი უჯრედები სიმსივნურ ველში პროლიფერაციის უბანში (სურათი N25), თუმცა, ზოგადად მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სჭარბობდა მაღალი უჯრედები და „ტრამვას ლიანდაგის“ მსგავსი სურათი. დასახელებული ცვლილებები მაქსიმალურად დემონსტრირებული იყო პაციენტებში, რომლებსაც აღენიშნებოდათ ე. წ. „ჰაშიმოტო-ტოქსიკოზის“ კლინიკური სურათი, მაღალი anti-TPO ანტისხეულების ტიტრის ფონზე.




სურათი N25. ჰაშიმოტოს თიროიდიტის ფონზე განვითარებული პაპილური კარცინომა. სიმსივნურ ველში აღინიშნება მალიგნიზაციის რისკისთვის დამახასიათებელი უჯრედები: მაღალი (1), თითისტარისებრი (2), „მეწაღის ლურსმნისებრი“ (3) უჯრედები. H&E, X400.

ე. წ. B-უჯრედები, ონკოციტები (Hurtle cell): სიმსივნური უჯრედები უხვი

ეოზინოფილური ციტოპლაზმით, რომელიც ექსპრესირებს ნეიროენდოკრინულ მარკერს S100 ცილას (სურათი N26), რადგან ონკოციტები წარმოადგენენ ნერვული ქედიდან განვითარებულ სტრუქტურებს.

სხვა იშვიათი ციტოლოგიური ნიშნები, რომლებიც ფიქსირდება PTC-ს დროს, მოიცავს თითისტარისებრ (spindle cell) (სურათი N25) და გამჭვირვალე უჯრედებს.

უნდა აღინიშნოს, თუნდაც პათოგენეზის თვალსაზრისით, რომ ზემოაღწერილი უჯრედები შეფასებულია როგორც მაღალდიფერენცირებული თიროიდული კარცინომის ლოკალურ-აგრესიული ფორმები, ხოლო მათი მოლეკულური პროფილი ვლინდება BRAFV600E გენის მუტაციით (Mady et al. 2020).



სურათი N26. S100 ცილის დიფუზურ-შერეული ექსპრესია პარაფოლიკულურ დომენში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X200.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს ჰაშიმოტოს თიროიდიტის იმ ჰისტოლოგიური ვარიანტების გამოვლენა, რომელთა სტრუქტურაში წარმოდგენილია უჯრედები, რომლებიც ასოცირდება კლასიკური პაპილური კარცინომის ან მიკროკარცინომის განვითარების რისკებთან. ცნობილია, რომ 25-30%-ში

ეს შემთხვევები კლასიფიცირდება როგორც არადეტერმინირებული პათოლოგია (Bethesda system 2018) (LiVolsi, Fadda and Baloch 2000; Cibas and Ali 2017).

ცნობილია, რომ იმუნური უჯრედები ხშირად გვხვდება ფარისებრი ჯირკვლის პირველადი მიკროკარცინომის შიგნით ან მის გარშემო. აქედან გამომდინარე, ვეთანხმებით კონცეფციას, რომ იმუნურმა სისტემამ, როგორცაა ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადება, შეიძლება ხელი შეუშალოს ან შეუწყოს ფარისებრი ჯირკვლის კარცინომის ან მიკროკარცინომის განვითარებასა და პროგრესირებას. არანეოპლაზიურ ქსოვილებში წარმოქმნილი ადგილობრივი იმუნური პასუხი აუტოიმუნური ქრონიკული თიროიდიტის დროს ასოცირდება ჰაშიმოტოს პარენქიმის ატიპიასთან, რომელიც გარდაიქმნება კლასიკურ პაპილურ კარცინომად. ამ სიმსივნეების უმეტესობა შემთხვევით დიაგნოსტირებულია. ჩვენი მონაცემებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰაშიმოტოს თიროიდიტს აქვს გარკვეული მკაფიო ჰისტო- და იმუნოპათოლოგიური თავისებურებები, რომლებიც მოიცავს თირეოციტებსა და ექსტრაფოლიკულურ დომენის განსხვავებებს. ჩვენმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ჰაშიმოტოს პარენქიმა უმეტესად შეიცავდა უმწიფარ ფოლიკულურ უჯრედებს, რომლებიც შეფასებულია როგორც ფარისებრი ღეროვანი/წინამორბედი უჯრედები გარკვეული ატიპიით, მაღალი მიტოზური და ინვაზიური პოტენციალით. ციკლინდამოკიდებული კინაზას აქტივობის გამოვლენით მიღებული შედეგები მიუთითებს Cyclin D1/E-სა და Galectin-3-ის მაღალ ექსპრესიაზე ჰაშიმოტოს თიროიდიტის დროს და ეთანხმება ამჟამინდელ კონცეფციას - უმწიფარი "კარცინომის ტიპის" ფოლიკულური უჯრედების ასოციაციას გენურ ამპლიფიკაციასთან ფარისებრი ჯირკვლის მიკროპაპილური კარცინომის და აუტოიმუნური თიროიდიტის დროს (Gogiashvili, Gvianishvili and Tsagareli 2018).

სხვა პათოლოგიური მახასიათებლები:

კოლოიდი, როგორც წესი, მკვრივი და ჰიპერეოზინოფილურია (შეჭმუხნული კოლოიდი - inspissated colloid).

ფსამომური სხეულები, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც ფირფიტოვანი

(laminated) მიკროკალციფიკაცია, ხშირად ასოცირდება კლასიკურ, მაღალუჯრედოვან, hobnail და დიფუზურ სკლეროზულ ვარიანტებთან; ვარაუდობენ, რომ ფსამომური სხეულები წარმოიქმნება პაპილების ჰიალინიზებულ ბირთვში.

ლიმფურ კვანძში მხოლოდ ფსამომური სხეულების არსებობა მიუთითებს მეტასტაზურ დაავადებაზე და College of American Pathologists-ის მიერ განიხილება როგორც pN1(CAP 2019).

ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის უმეტესობა ინფილტრაციულია, ზოგი კი კაფსულირებული ან კარგად გამოკვეთილი (ჩვეულებრივ ფოლიკულური ვარიანტი).

სიმსივნური სტრომა შეიძლება იყოს ფიბროზული ან კალციფიცირებული და ოსიფიცირებული.

ცისტური ცვლილებები პირველად სიმსივნეში ან მეტასტაზებში არ არის იშვიათი.

4.5. დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვის, რიდელის, ჰაშიმოტოს თიროიდიტის, პაპილური კარცინომისა და მიკროკარცინომის იმუნოჰისტოქიმიური კვლევის შედეგები

Cyclin D1 არის უჯრედული ციკლის კარგად ცნობილი რეგულატორი და მისი გამოხატული ექსპრესია მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიმსივნის პროგრესირების არგუმენტაციაში. Cyclin D1-ის ჭარბი ექსპრესია, გამოწვეული ქრომოსომული ანომალიებით, გენის გაძლიერებით ან სხვა პოსტტრანსლაციური მექანიზმებით, აღწერილია სხვადასხვა ტიპის სიმსივნეებში, ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ჩათვლით (Hall and Peters 1996; Wang et al. 2000).

ნორმულ ფარისებრ ქსოვილში თიროიდული ტრანსკრიპციის ფაქტორი TTF-1 ცნობილია როგორც სპეციფიკური შემაკავშირებელი ცილა, (T/EBP), რომლის ფუნქციას წარმოადგენს ფარისებრი ჯირკვლის ემბრიონული განვითარებისა და ფუნქციის კონტროლი. ნაყოფში TTF-1 ექსპრესია ვლინდება ადრეული ორგანოგენეზის დროს და პასუხისმგებელია თიროიდული ფენოტიპის დიფერენციაციაზე. TTF-1 ასევე ექსპრესირდება მოზრდილი ადამიანის ფოლიკულური უჯრედების ბირთვებში,

არეგულირებს თირეოგლობულინის (TG), თიროიდული პეროქსიდაზის (TPO), თირეოტროპინის რეცეპტორის (TSH-R) გენის ექსპრესიას. TTF-1 პირველად აღმოჩენილ იქნა 1989 წელს, როგორც ბირთვსპეციფიური მემბრანული ანტიგენი, დნმ-თან შეკავშირების უნარით, რომელიც TG გენთან ურთიერქმედებდა ვირთხებში (Asa 2005). TTF-1 არეგულირებს ფარისებრი ჯირკვლის, ფილტვების და ემბრიონული განვითარების დროს დიენცეფალონის გენების ექსპრესიას. მნიშვნელოვანია, რომ TTF-1 PAX8-თან ერთად ნორმულ ფარისებრ ჯირკვალში აკონტროლებს TG, TPO, თირეოტროპულ რეცეპტორს, კალციტონინის და ძირითადი ჰისტოშეთავსებადობის კომპლექსის კლასი-1 გენების ექსპრესიას. ვინაიდან, TTF-1 ფარისებრი ჯირკვლისთვის მეტად სპეციფიური მარკერია, ის წარმატებით გამოიყენება პირველადი სიმსივნისა და მეტასტაზური სიმსივნის სადიფერენციაციოდ. ფარისებრ ჯირკვალში TTF-1-ის ბირთვული ექსპრესია ვლინდება ფოლიკულური უჯრედებიდან განვითარებულ კეთილთვისებიან და ავთვისებიან სიმსივნეებში, აგრეთვე, მედულური კიბოს დროს. დაბალდიფერენცირებული კარცინომა ავლენს დაქვეითებულ ან ფოკალურ ექსპრესიას, ხოლო ანაპლაზიური სიმსივნეები არ ავლენენ მას. TTF-1-ზე იმუნორეაქტიულობა სრულად გამორიცხავს პარათიროიდული გენეზის, პარაგანგლიომების და მეტასტაზური სიმსივნეების არსებობას (de Matos et al. 2005).

CD56 - წარმოადგენს იმუნოგლობულინების სუპეროჯახში ჰომოფილურ დამაკავშირებელ გლიკოპროტეინს, რომელიც ნორმაში ექსპრესირდება ბუნებრივი კილერების, აქტივირებული T უჯრედების, დიდი გრანულარული ლიმფოციტების, სპეციფიური ენდოკრინული და ტვინის ქსოვილების მიერ. მიიჩნევა, რომ ცილა აწესრიგებს უჯრედულ მოძრაობას, ნეირონებს შორის ჰომოფილურ დაკავშირებას. აღმოჩენილია, რომ ის ექსპრესირდება ფარისებრი ჯირკვლის ფოლიკულური უჯრედების მიერ (Prag et al. 2002; Zeromski et al. 1998; Scarpino et al. 2007).

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნური პროცესების დიფერენციაციაში არის პაპილური კარცინომის ფოლიკულური ტიპისა და ფოლიკულურ ადენომებს შორის დიფერენციალური დიაგნოზი (Nikiforov et al. 2016). დიფერენცირება მათ შორის კლინიკური მნიშვნელობისაა, რაზეც არის დამოკიდებული

ავადმყოფის მკურნალობა და მონიტორინგის ხანგრძლივობა. ვერ შემუშავდა მინიმალური ჰისტოლოგიური მახასიათებლები კი, რომელიც სრულად გადაჭრიდა ამ პრობლემას.

CD56-ის დაქვეითებული ექსპრესია მიუთითებს სიმსივნური პროცესის პროგრესიაზე. მარკერის ექსპრესია დაქვეითებულია და თითქმის დაკარგულია პაპილური კარცინომების, ფოლიკულური კარცინომებისა და ანაპლაზიური კარცინომების არსებობისას (El Demellawy et al. 2009). აღნიშნული მარკერის ექსპრესიის დეფიციტი განსაკუთრებით პაპილური კარცინომის დროს შეიმჩნევა, ეს ფაქტი ეთანხმება აღწერილ კვლევებს (Barroeta et al. 2006). ახალი კვლევების თანახმად, საგრძნობია CD56-ის ექსპრესიის შემცირება, არა მარტო პაპილური კარცინომების და მიკროკარცინომების, არამედ ფოლიკულური კარცინომების დროსაც, რაც აისახება ფოლიკულურ კარცინომებსა და ადენომებს შორის მონაცემების მნიშვნელოვანი განსხვავებით (Ozolins et al. 2010).

სხვადასხვა კვლევები განსხვავებულ მგრძნობელობას გვიჩვენებს ამ მარკერის მიმართ. სენსიტიურობამ კარცინომების მიმართ შეადგინა 58%-დან 100%-მდე, ხოლო სპეციფიურობამ - 46%-დან 100%-მდე (Ozolins et al. 2010). აღნიშნული მარკერის მაქსიმალური სენსიტიურობა აღინიშნება პაპილური კარცინომების შემთხვევაში, ხოლო ყველაზე დაბალი სენსიტიურობა ფოლიკულური კარცინომების შემთხვევაში (Park et al. 2009; Abd El Atti and Shash 2012).

4.6. დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვის იმუნოჰისტოქიმიური კვლევის შედეგები


დტჩ-ს დროს ვლინდება p63-ის ნეგატიური ჩართვა. როგორც სხვა კვლევებიც გვიჩვენებს (Unger et al. 2003) p63-დადებითი უბნები, ჩვეულებრივ, გვხვდება ჰაშიმოტოს თიროიდიტის დროს, მაგრამ იშვიათია გრეივისის დაავადების შემთხვევაში.

დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის დროს TTF-1 შეღებვის ინტენსივობა შეფასდა, როგორც თირეოციტების ბირთვებში ინტენსიური ექსპრესია (ჰაშიმოტოს

თიროიდიტისგან განსხვავებით) და შეესაბამებოდა თირეოტროპული ჰორმონის (TSH) დაქვეითებულ რაოდენობას იმავე პაციენტების სისხლის შრატში.

4.7. რიდელის თიროიდიტი (RT) იმუნოჰისტოქიმიური კვლევის შედეგები

RT-ის შემთხვევები (n=5) p63-ის მიმართ პრაქტიკულად არეაქტიული იყო, შეიძლება ითქვას, რომ დაფიქსირდა სუსტი ფონური რეაქცია (სურათი N27 ა, ბ), რადგან ქსოვილში წარმოდგენილი იყო ექსტენსიური ფიბროზი. მსგავსი სურათი დაფიქსირებული აქვთ Won და თანაავტორებს (Won et al. 2008).




სურათი N27 ა, ბ. რიდელის თიროიდიტი, p63-ის უარყოფითი რეაქცია თირეოციტებში. ექსტენსიური ფიბროზის ცენტრში არის ნოდულური ჰიპერპლაზია p63-ის ფონური ექსპრესიით კოლოიდში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X100.

RT-ში p63 ცილა, როგორც „კიბოს ღეროვანი უჯრედის“ მოლეკულური სტრუქტურა, არ ვლინდება ჯირკვლოვან ქსოვილში, ანუ ვლინდება მისი არეაქტიულობა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის აუტოიმუნური თიროიდიტის ავთვისებიანი პოტენციალი მინიმალურია, რასაც ადასტურებს ფოლიკულებში ესტროგენ-რეცეპტორების და მასთან დაკავშირებული ტრანსფორმაციული ზრდის

ფაქტორის TGF- β 1 ინჰიბიცია (Few et al. 1996).


რიდელის თიროიდიტის შემთხვევაში Won და თანაავტორები (Won et al. 2008) აღნიშნავენ, რომ შრატში თიროიდული ანტისხეულები არ ფიქსირდება, მხოლოდ იმუნოჰისტოქიმიურად დადასტურდა T ლიმფოციტების არსებობა პარენქიმაში და CD45RO ექსპრესია. დასახელებული ავტორები აღნიშნავენ, რომ მათი დაკვირვების ქვეშ მყოფი ხუთივე პაციენტი იყო ეუთიროიდული სტატუსით, 2 მათგანს დაუდგინდა ფლებიტი ვენის სანათურის დილატაციით. ოპერაციული ჩარევით მოხდა ტრაქეის დეკომპრესია, აღებული იყო მასალა ჰისტოლოგიური კვლევისთვის.

ჩვენს მიერ შესწავლილი RT-ის დროს ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილში CD56-ის რეაქტიულობა იყო უარყოფითი (სურათი N28 ა, ბ).



სურათი N28 ა, ბ. რიდელის თიროიდიტი, CD56-ის უარყოფითი რეაქცია ფჯ ქსოვილში, დიფუზური დადებითი ექსპრესია კოლოიდში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X200.


RT-ის ხუთივე შესწავლილ შემთხვევაში დაფიქსირდა TTF-1-ის ფოკალური და დიფუზური ექსპრესიის კერები სტრომულ ფიბრობლასტებსა და კაპილარული კედლის ენდოთელურ უჯრედებში კლასტერების სახით. ერთ შემთხვევაში რეაქცია იყო უფრო დიფუზური და ძლიერი (სურათი N29 ა), იმავდროულად აღინიშნა ზომიერი დიფუზური რეაქცია სტრომაში რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეულია ფიბროზული ქსოვილის ჰიპერპლაზიით (სურათი N29 ბ).




სურათი N29. რიდელის თიროიდიტი, ა. ფოლიკულურ უჯრედებში TTF-1-ის ძლიერი ექსპრესია. X200. ბ. TTF-1-ის ზომიერი დიფუზური რეაქცია სტრომაში. X100. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია.

4.8. ჰაშიმოტოს თიროიდიტი (HT) იმუნოჰისტოქიმიური კვლევის შედეგები


HT-ის 32 შემთხვევიდან 9 შემთხვევაში უჯრედების 70%-ში დაფიქსირდა p63-ის დიფუზური სუსტი ზომიერამდე ექსპრესია, უპირატესად კოლოიდში (სურათი N30). 7 შემთხვევაში ჯირკვლის ქსოვილი იყო p63-ის მიმართ არეაქტიული (სურათი N31), ხოლო 16 შემთხვევაში (შემთხვევების 50%) ექსპრესია იყო ფოკალური დადებითი (სურათი N32 ა, ბ).




სურათი N30. ჰაშიმოტოს თიროიდიტი, ცილა p63-ის სუსტი ზომიერამდე ექსპრესია ფოლიკულის კოლოიდში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X200.



სურათი N31. ჰაშიმოტოს თიროიდიტი, ცილა p63-ის რეაქცია უარყოფითი ფოლიკულურ უჯრედებში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X400.




სურათი N32 ა, ბ. ჰაშიმოტოს თიროიდიტი, p63-ის წერტილოვანი სუსტი დადებითი ექსპრესია ცალკეულ ფოლიკულში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X200.



სურათი N33. ჰაშიმოტოს თიროიდიტი, CD56-ის დიფუზური მაღალი ექსპრესია თირეოციტებში და ფოლიკულთა კოლოიდში, კერძოვანი ნოდულური ჰიპერტროფიის ცენტრში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X200.


32 შემთხვევიდან 23 შემთხვევაში აღინიშნა CD56-ის მაღალი დიფუზური რეაქტიულობა თირეოციტებში და ძლიერი ჩართვა კოლოიდში (სურათი N33), ხოლო 9

შემთხვევაში ცალკეულ ფოლიკულურ უჯრედში გამოვლინდა სუსტი ზომიერამდე რეაქცია, განსაკუთრებით, კოლოიდსა და უჯრედის პრემემბრანულ ზონებში (სურათი N34 ა, ბ).




სურათი N34 ა, ბ. ჰაშიმოტოს თიროიდიტი, ფოლიკულურ უჯრედში CD56-ის სუსტი ზომიერამდე რეაქტიულობა პრემემბრანულ ზონებსა და კოლოიდში. სუსტი ზომიერამდე რეაქტიულობა. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X1000.


Cyclin D1-ის კვლევაში ჰაშიმოტოს თიროიდიტის შემთხვევებში, როგორც წესი, გამოავლინა ნეგატიური ან ერთეული პოზიტიური უჯრედები. Galectin-3-ის, HBME-1-ის და Cyclin D1-ის ერთდროული ექსპრესია, რომელიც ფიქსირდება ზოგიერთ საექვო შემთხვევაში, ჰაშიმოტოს თიროიდიტის დროს, რეალურად მიუთითებს ტრანსფორმირებული თირეოციტების არსებობაზე (Gasbarri et al. 2004), რაც, ჩვენს შემთხვევაში, შეიძლება შეესაბამებოდეს რეაქტიულ ატიპიას ბუდობრივი აქტივობით (სურათი N35).




სურათი N35. ჰაშიმოტოს თიროიდიტი, ეპითელიუმის რეაქტიული ატიპიის შემთხვევა. Cyclin D1 დადებითი რეაქცია ციტოპლაზმაში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X400.



სურათი N36. ჰაშიმოტოს თიროიდიტი, FED კერებში Cyclin D1-ის ექსპრესია. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X400.



სურათი N37. ჰაშიმოტოს თიროიდიტი, Cyclin D1 დადებითი რეაქცია ფოლიკულურ უჯრედებში, ლიმფოციტური ინფილტრაციის ვრცელი უბნები, Cyclin D1 რეაქცია უარყოფითი. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X400.



სურათი N38. ჰაშიმოტოს თიროიდიტი, ეპითელიუმის რეაქტიული ატიპიის უბნებში მაღალი უჯრედები მკვეთრად Cyclin D1 დადებითი (ისრით). იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X400.

32 შემთხვევიდან 25 შემთხვევაში გამოვლინდა მაღალი - ზომიერამდე ფოკალური აქტივობა, რომელიც დაემთხვა H&E შედეგებზე ნიმუშებს, რომლებშიც დადასტურებული იყო ფოლიკულური ეპითელიუმის დისპლაზიის (FED) უბნები (სურათები N36; N37). აღსანიშნავია ფოლიკულური ეპითელიური უჯრედების ბუდობრივი განლაგების უბნებში Cyclin D1-ის მაღალი ფოკალური აქტივობა (სურათი N38).

4.9. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის (PTC) და მიკროკარცინომის (PTMC) იმუნოჰისტოქიმიური კვლევის შედეგები

კლასიკური ტიპის პაპილური კარცინომის 26 შესწავლილ შემთხვევაში ნეოპლაზიური უჯრედების სტრუქტურა 9 შემთხვევაში წარმოდგენილი იყო უპირატესად მაღალი უჯრედებით (Tall cell). p63-ის აქტივობა შეფასდა როგორც ზომიერი (სურათი N39 ა, ბ).

ჩვენი კვლევის ინტერესიდან გამომდინარე, ფჯ ქსოვილოვანი ნიმუშები შევისწავლეთ CD56 და p63 რეცეპტორული აქტივობის მიმართ ძირითად (HT, PTC) ჯგუფებში. CD56, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს ნერვული უჯრედის ადჰეზიურ მოლეკულას, ექსპრესირდება ფარისებრი ჯირკვლის ნორმულ, არანეოპლაზიურ ფოლიკულურ უჯრედებში და მისი ექსპრესია ამცირებს ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნის რისკს, განსაკუთრებით PTC-ს განვითარებას. ჰამიმოტოს პარენქიმაში PTC გამოვლინდა პრეკურსორი უჯრედების და მათი მარკერების პროგრესირებადი არსებობით. ასევე დამახასიათებელია მაღალი ინტენსივობის ლიმფოციტური ინფილტრაციის არსებობა, როგორც ავთვისებიანი სიმსივნის პროგრესირების იმუნოლოგიური ფაქტორი.


ჩვენი ვარაუდით, CD56 და p63 ბიომარკერები შეიძლება გამოყენებულ იქნას ნორმული, არანეოპლაზიური ფოლიკულური უჯრედის გამოსავლენად. ლიტერატურაში აღწერილია CD56-ის ექსპრესია ავთვისებიანობის შემთხვევაში, რაც მიუთითებს ფოლიკულური უჯრედების საბოლოო ავთვისებიან ტრანსფორმაციაზე.

მეორე მხრივ, სიმსივნური ცილის p63 (TP63) ექსპრესია - როგორც p53 ტრანსკრიპციის ფაქტორების და ღეროვანი/წინამორბედი უჯრედების რეგულატორის წევრი, ასევე შეიძლება ჩაითვალოს ავთვისებიანობის მაღალმგრძობიარე პროგნოზირებად ფაქტორად.

ამ მონაცემებიდან გამომდინარე, კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ p63 იძლევა ზომიერ დიფუზურ რეაქციას როგორც PTC-ს, ასევე PTMC-ს დროს, ხოლო CD56 ადჰეზიური ფაქტორი აჩვენებს მაღალ ექსპრესიას კოლოიდში და ფაქტობრივად უარყოფით შედეგს ჯირკვლოვან უჯრედებში. განსაკუთრებით საყურადღებოა CD56 ნეგატიური პასუხი ეპითელიუმის დისპლაზიურ უბნებში.

პაპილური მიკროკარცინომის შემთხვევაში CD56 რეცეპტორ-დადებითი ზონა გვხვდება მხოლოდ კოლოიდში.


პაპილური მიკროკარცინომის შემთხვევაში p63 ცილის მიმართ სიმსივნური უჯრედების კლასტერის რეაქცია უარყოფითია, ხოლო ზომიერად დადებითი აღინიშნა მხოლოდ აპოპტოზური უჯრედების ბირთვებში.




სურათი N39 ა, ბ. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა, p63-ის ზომიერად დადებითი ფოკალური ექსპრესია, იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X400.

მიკროკარცინომის შემთხვევაში უჯრედების სტრატეფიკაციის კერაში გამოვლინდა


ბირთვების განსაკუთრებით მაღალი რეაქტიულობა p63 ცილის მიმართ (სურათები N40; N41), რაც ლიტერატურის მონაცემებით (Mady et al. 2020) მიუთითებს პროცესის აგრესიული მიმდინარეობის რისკზე. მიკროსკოპის დიდ გადიდებაზე თვალსაჩინოა მიკროკარცინომის სიმსივნურ ველში ფოლიკულურ უჯრედთა ბირთვების პოლიმორფიზმი (სურათი N42).



სურათი N40. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური მიკროკარცინომა, p63-ის ექსპრესია მკვეთრად დადებითი მსხვილი სიმსივნური უჯრედების ბირთვებში, იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X1000.




სურათი N41. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური მიკროკარცინომა, p63 მკვეთრად დადებითი აპოპტოზურ ბირთვებში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X1000.




სურათი N42. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური მიკროკარცინომა, სიმსივნური უჯრედები გამსხვილებული, p63 მკვეთრად დადებითი. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X1000.

12 შემთხვევაში PTC-ის ქსოვილში გამოვლინდა CD56-ის არეაქტიული უბნები, განსაკუთრებით მაღალი უჯრედებისა (Tall cell) და ე.წ. „ტრამვას ლიანდაგის“ ("tram-track") მსგავსი განლაგების უბნებში (სურათი N43 ა, ბ). დანარჩენ 14 შემთხვევაში CD56 გამოვლინდა კოლოიდში, ხოლო ფოლიკულური უჯრედები დარჩა არეაქტიული (სურათი N44).




სურათი N43. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა, CD56-ის არეაქტიული უბნები; ა - მაღალი უჯრედები, X400; ბ „ტრამვას ლიანდაგი“, X100. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია.




სურათი N44. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა, CD56 ექსპრესია კოლოიდში, იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X100.

Cyclin D1-ის კვლევამ PTMC-ის სიმსივნურ ველში გამოავლინა დიფუზური მაღალი რეაქტიულობა პარენქიმული ქსოვილის უჯრედებში, სტრომის ქსოვილი იყო არეაქტიული (სურათი N45). იმუნომარკერის მაღალი ჩართულობა გამოვლინდა ფოლიკულურ ეპითელიუმში, სტრომა, კლასიკურ კარცინომაში (სურათი N46), როგორც PTMC-ის შემთხვევაშიც, იყო უარყოფითი.



სურათი N45. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური მიკროკარცინომა, Cyclin D1 დიფუზური მაღალი რეაქტიულობა ფოლიკულური უჯრედების ციტოპლაზმაში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X400.



სურათი N46. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა, Cyclin D1 განსხვავებული რეაქტიულობა: დადებითი - ფოლიკულ ეპითელიუმში, უარყოფითი - სტრომის ელემენტებში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X200.

5. კვლევის შედეგების განხილვა

ცნობილია, რომ ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები - თიროქსინი (T4), ტრიოდთირონინი (T3) და კალციტონინი აკონტროლებენ უჯრედულ მეტაბოლიზმს და ზოგადად, ორგანიზმის განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ფარისებრი ჯირკვალის შედარებით პატარა ორგანოა ($\approx 15-20$ გრ.), იგი სამედიცინო კვლევების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ამის დასტურია ისიც, რომ PubMed-ში ფარისებრი ჯირკვალზე 2013 წლიდან დღემდე 160,000-ზე მეტი პუბლიკაცია მოიძებნება.

უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ფარისებრი ჯირკვლის კიბოს (TC), განსაკუთრებით კი პაპილური მიკროკარცინომის დიაგნოსტიკური სიხშირე, ბევრ ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა. ფარისებრი ჯირკვლის კვანძის დიაგნოსტიკის მიდგომების ცვლილებამ, კერძოდ, ულტრაბგერითი და ულტრაბგერის კონტროლით ასპირაციული ნემსით აღებული მასალის ციტოლოგიურმა კვლევამ შეიძლება ნაწილობრივ შეუწყოს ხელი მისი გამოვლენის სიხშირის კიდევ უფრო ზრდას (Kakudo 2013).

ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა (PTC) არის ყველაზე გავრცელებული ტიპის TC, რომელსაც ახასიათებს კარგი პროგნოზი. იგი სისტემური ავთვისებიანი სიმსივნეების 1%-ს შეადგენს. ხასიათდება მაღალი კლინიკური სიხშირისა და დაბალი სიკვდილიანობის მაჩვენებლით (He et al. 2017).

პაპილური მიკროკარცინომა (PTMC) არის პაპილური თიროიდული კარცინომის (PTC) მიკრო ვარიანტი, რომლის დიამეტრიც 1 სმ ან უფრო ნაკლებია. უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე PTMC-ის გამოვლენის სიხშირე, PTC-ის მსგავსად, ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელით ხასიათდება (Kakudo et al. 2013).

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, ფარისებრი ჯირკვლის კარცინომის დიაგნოსტიკური სიხშირე, განსაკუთრებით პაპილური მიკროკარცინომა, მკვეთრად გაიზარდა ბევრ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-სა და იაპონიაში. ფარისებრი ჯირკვლის კვანძების დიაგნოსტიკის მიდგომების ცვლილებამ - ულტრაბგერითი და

წვრილნემსიანი ასპირაციული ციტოლოგიის განვითარებამ - შეიძლება ნაწილობრივ ხელი შეუწყოს დაავადების დიაგნოსტიკების სიზმირის გაზრდას. Kakudo და თანაავტორებმა მიმოიხილეს ბოლო პუბლიკაციები ამ საკითხზე და ხაზი გაუსვეს პაპილური მიკროკარცინომის თითქმის ყოველთვის კეთილთვისებიან ბუნებას. მათი აზრით, ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეების კლასიფიკაციაში პაპილური მიკროკარცინომა უნდა იყოს კლასიფიცირებული მოსაზღვრე (Gray Zone) კატეგორიაში და არა „ჭეშმარიტი“ კარცინომის კატეგორიაში (Kakudo 2013).

ჩვენს კლინიკურ მასალაში შესწავლილია PTC-ს 26 შემთხვევა (აქედან, 14 - PTC, 12 - PTMC), ყველა იყო ოპერაციული მასალა, მათ შორის 1 ლობექტომია, დანარჩენი სრული თიროიდექტომია.

როგორც აღვნიშნეთ, ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეების უმნიშვნელოვანესი დიაგნოსტიკური კრიტერიუმია პაპილური თიროიდული კარცინომის უჯრედთა ბირთვული თვისებები (PTC-N). ამდენად, PTC-N არის PTC-ის დიაგნოზის ოქროს სტანდარტი, ისევე როგორც პაპილური სტრუქტურა და ინვაზიური ზრდა. PTC-N-ის შეფასებით პათოლოგებს შეუძლიათ მიკროსკოპულ კერებში გამოავლინონ PTMC, მაშინაც კი, თუ მათი დიამეტრი 1მმ-ზე ნაკლებია (Kakudo et al. 2013; Liu et al. 2010).

ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეების WHO კლასიფიკაციის განმარტებითა და აღწერით, არ არსებობს პაპილური თიროიდული კარცინომის ცნობილი წინასწარი დაზიანება, ე.წ. „პრეკანცერული“ ცვლილებები. PTMC შეიძლება წარმოიქმნას ორ სხვადასხვა სიტუაციაში: ფარისებრი ჯირკვლის ნორმულ პარენქიმაში (de novo cancer) ან ფარისებრი ჯირკვლის კვანძში (cancer in adenoma). PTMC-ები შეიძლება იყოს PTC-ის ადრეული ფაზა ან მისი წინამორბედი დაზიანება (პრეკანცერული, მოსაზღვრე დაზიანება ან grey zone lesion). ამგვარად, WHO კლასიფიკაციის თანახმად, PTMC არის PTC-ის წინამორბედი დაზიანების ერთ-ერთი ვარიანტი და არა კლასიკური PTC ან ფარისებრი ჯირკვლის აგრესიულად მიმდინარე კიბო (მედულური, ანაპლაზიური) სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლით (Kakudo et al. 2013; Liu et al. 2010).

ჩვენს მიერ შესწავლილი PTMC 12 კლინიკური შემთხვევებიდან 4 იყო სპორადული კიბო, ხოლო 8 შემთხვევა ჰაშიმოტოს თიროიდიტის (HT) ფონზე განვითარებული,

რამაც განაპირობა ამ ორი პათოლოგიური პროცესისადმი განსაკუთრებული ინტერესი.


ჰაშიმოტოს თიროიდიტი (HT), აუტოიმუნური ბუნების დაზიანება, ფარისებრი ჯირკვლის ყველაზე გავრცელებული ანთებითი დაავადება და ამავდროულად, ჰიპოთირეოზის ყველაზე გავრცელებული მიზეზი მოზრდილებში, არაერთი მკვლევარის აზრით, HT არის პაპილური თიროიდული კარცინომის (PTC) და ავთვისებიანი ლიმფომის რისკ ფაქტორი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ექიმებმა გამოავლინონ PTC ან სხვა ტიპის თიროიდული ნეოპლაზიები HT-ის ფონზე, რათა უზრუნველყონ შესაბამისი მკურნალობა. PTC-სა და ფოლიკულური ნეოპლაზიების ციტოლოგიური თავისებურებანი ხშირად აღინიშნება HT-ის მქონე პაციენტებში ფარისებრი ჯირკვლდან ასპირაციულ-ბიოფსიური მეთოდით აღებული მასალის ციტოლოგიური კვლევისას (FNA). თუმცა, არ არის ფაქტობრივად დასაბუთებული თუ რატომ შეიძლება აღინიშნებოდეს მსგავსი ატიპური უჯრედები HT-ს მქონე პაციენტებში (Wakasa et al. 2013).

მასალის სისტემატიზაციის დროს, განვიხილეთ რა დიაგნოსტიკური კრიტერიუმები (Wakasa et al. 2013), გაირკვა, რომ HT-ს დიაგნოზი ისმება კლინიკურად და კლინიკურ გაიდლაინებში მოცემული შემდეგი კრიტერიუმებით: 1) დიფუზური და non-tender ჩიყვი, 2) გრეივისის დაავადების გამორიცხვა და 3) აუტოანტისხეულების (TgAb, TPOAb) არსებობა შრატში. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, PTC და ავთვისებიანი ლიმფომა უფრო მეტი სიხშირით გვხვდება HT-ით დაავადებულ პაციენტებში, ვიდრე პაციენტებში HT-ის გარეშე (Wakasa et al. 2013; Replinger et al. 2008).

ჰაშიმოტოს თიროიდიტისას (HT) განვითარებული კეთილთვისებიანი ფოლიკულური უჯრედების მორფოლოგიური ცვლილებები შეიძლება დაემსგავსოს პაპილური თიროიდული კარცინომის დროს განვითარებულ ცვლილებებს (Wakasa et al. 2013). ჩვენს მასალაში სწორედ ფარისებრი ჯირკვლის ნიმუშებში გვხვდება ატიპური უჯრედი ორი ტიპის - 1) უმწიფარი ფოლიკულური უჯრედები cord-like სტრუქტურებში და 2) სოლიდური ბაზალური უჯრედები. ორივე ტიპის უჯრედს ფოლიკულური უჯრედების ბუნება გააჩნია და ვლინდება პოზიტიური იმუნორეაქტიულობა TTF-1-ზე (Thyroid Transcription Factor 1). ასევე სოლიდური


ბაზალური უჯრედები აღმოჩნდა p63-ზე პოზიტიური, მაგრამ უმწიფარი ფოლიკულური უჯრედები cord-like სტრუქტურებში იყო ნეგატიური, რაც მიუთითებს, რომ სოლიდურმა ბაზალურმა უჯრედებმა შეინარჩუნეს ღეროვანი უჯრედების ბუნება. მიღებული შედეგები სრულ თანხვედრაშია ლიტერატურის მონაცემებთან (Wakasa et al. 2013).

ჩვენს მასალაზე HT-ის მქონე პაციენტის ფარისებრი ჯირკვალის შესწავლით აღმოჩნდა, რომ პარენქიმაში ფიქსირდება უმწიფარი ფოლიკულური უჯრედების რაოდენობის ზრდა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი უმწიფარი უჯრედი ხასიათდება p63 ცილის ექსპრესიით (დიაგრამა N1). ვლინდება SCN-თან (solid cell nests) მსგავსება, სავარაუდოა, რომ, ლიტერატურის მონაცემებით, ეს უჯრედები შეიძლება იყოს ფარისებრი ჯირკვლის ღეროვანი/წინამორბედი უჯრედები. ამ დასკვნებმა შეიძლება დააზუსტოს განმარტება იმის შესახებ, თუ რატომ არის ჰაშიმოტოს დაავადების დროს გამოვლენილი ატიპიური ფოლიკულური უჯრედები საექვო პაპილურ თიროიდულ კარცინომაზე და რატომ შეიძლება გაკეთდეს ციტოლოგიური დიაგნოზის მცდარი ინტერპრეტაცია, რაზედაც მიუთითებს არაერთი მკვლევარი (Kakudo 2013; Kakudo et al. 2013; Wakasa et al. 2013).



დიაგრამა N1. p63 ცილის აქტივობა ფარისებრი ჯირკვლისჯ სხვადასხვა პათოლოგიის დროს.


უჯრედულ გაყოფას აკონტროლებს ჰომოლოგიური სერინ-თრეონინ კინაზას (ანუ Cyclin-დამოკიდებული კინაზების) ჯაჭვის შეთანხმებული მოქმედება (Cdk). მიტოზური ციკლის ყოველი ფაზისათვის დამახასიათებელია განსაზღვრული ტიპის Cdk/Cyclin აქტივობა. თეორიულ საფუძველს ქმნის წარმოდგენა, რომ ჩვენს მასალაზე გამოიკვეთა პროტეინ Cyclin D1-ის შემდეგი ცვლილებები, რომლებიც აჩვენებენ, რომ ეს მნიშვნელოვანი უჯრედული ციკლის მაკონტროლებელი ცილა სარწმუნოდ იცვლება HT და PTC უჯრედული ციკლის დომენში (დიაგრამა N2).




დიაგრამა N2. Cyclin D1-ის აქტივობა ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიის დროს.

ჩვენი კვლევის ძირითადი ინტერესიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ HT და PTMC ურთიერთკავშირის საკითხებს. სახელდობრ, HT-ის დროს თიროიდულ პარენქიმაში ატიპური, დისპლაზიური ცვლილებების მქონე ფოლიკულური უჯრედების არსებობის ფაქტებს. მითუმეტეს, რომ არსებობს სათანადო ლიტერატურის მონაცემებიც. Wakasa და თანაავტორებმა (Wakasa et al. 2013) გამოიკვლიეს რა ჰაშიმოტოს თიროიდიტით დაავადებული პაციენტის ფარისებრი ჯირკვალი, აღმოაჩნდა პარენქიმაში უმწიფარი ფოლიკულური უჯრედების გაზრდილი

რაოდენობა. საინტერესოა, რომ ზოგიერთი უმწიფარი უჯრედის რეაქცია p63 ცილაზე იყო დადებითი, ამავდროულად სტრუქტურულად მსგავსი იყო Solid Cell Nest-თან, რაც ვარაუდობს, რომ ეს უჯრედები შეიძლება იყოს ფარისებრი ჯირკვლის ღეროვანი/წინამორბედი უჯრედები (Wakasa et al. 2013). ჩვენი კვლევის შედეგები ამ მიმართულებით ჰაშიმოტოს პარენქიმაში გვიჩვენებენ სწორედ p63 პროტეინზე გამოკვეთილ დადებით რეაქციას, უფრო მეტიც, ექსპრესია ვლინდებოდა არა მარტო ბირთვულ და ციტოპლაზმურ დომენში, არამედ მოიცავდა ფოლიკულის სანათურში არსებულ კოლოიდურ სუბსტრატსაც, ხოლო PTC სიმსივნურ ქსოვილში უჯრედთა 70%-ში (დიაგრამები N3; N4). ამ დასკვნებმა შეიძლება დასაბუთებული ახსნა მოგვცეს იმის შესახებ, თუ რატომ ჩნდება ატიპიური ფოლიკულური უჯრედები ჰაშიმოტოს თიროიდიტის საექვო პაპილური ფარისებრი კარცინომის ტიპის ბირთვული მახასიათებლებით რამაც შეიძლება განაპირობოს ასევე არასწორი ინტერპრეტაცია ციტოლოგიურ დიაგნოზში.



დიაგრამა N3. HT-ის პარენქიმაში სხვადასხვა მარკერის იმუნორეაქტიულობა



დიაგრამა N4. PTC-ის პარენქიმაში სხვადასხვა მარკერის იმუნორეაქტიულობა

ფარისებრი სტრუქტურის პათოლოგიური ტრანსფორმაციის სიმწელებმა გამოიწვია სადიაგნოსტიკო მეთოდების, შედეგების კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის აუცილებლობა. სწორედ ამიტომ, ერთ-ერთი კონცეფცია ამ ფენომენის ასახსნელად მდგომარეობს შემდეგში: რთული და მრავალსტადიური პროცესის განვითარებაში, რომლის საბოლოო შედეგს წარმოადგენს PTC, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გენების ფუნქციის შეცვლას, რომლებიც არეგულირებენ პროლიფერაციას, დიფერენციაციას და აპოპტოზს (Murray-Zmijewski, Lane and Bourdon 2006).

გენ-რეგულატორების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი არის სიმსივნური გენ-სუპრესორი p53, რომელსაც საკვანძო როლი აქვს დნმ-ის დამაზიანებელი ზემოქმედების სიგნალთა ინტეგრაციაში მათი შემდგომი რეალიზაციით უჯრედულ ციკლში, დნმ-ის რეპარაციისა და აპოპტოზის პროცესებში, რის გამოც მათ ასევე უწოდებენ გენომის დარაჯებს (Trott and Rosemann 2000).

გენ p53-ის ფუნქციის ცვლილება, ამ კონცეფციის თანახმად, იწვევს დნმ-ის დაზიანებაზე კონტროლის დაკარგვას და აპოპტოზის განხორციელებას, რაც თავის მხრივ, იწვევს გენომის არასტაბილურობას, რის გამოც შესაძლოა გარკვეულ პირობებში კიბოს განვითარებაც გამოიწვიოს. გენი p53 ყველაზე უფრო ხშირად განიცდის მუტაციას

ავთვისებიანი პროცესებისას, უფრო მეტიც, შესწავლილია მოვლენა, როდესაც კიბოს ყველა შემთხვევის დროს დაფიქსირდა p53-ის დაბალი აქტივობა (Murray-Zmijewski, Lane and Bourdon 2006).

Murray და თანაავტორთა აზრით, p53/p63/p73 მუტაცია აღინიშნება 90%-ში ავთვისებიანი პროცესის დროს. p53 გენი ტრანსკრიპციული აქტივობა ვლინდება დნმ-ის ცენტრალურ დომენში, რომელიც ამავდროულად უკავშირდება p53-ის ცენტრალურ დომენს. დასახელებული ავტორები სამივე ფორმას უწოდებენ იზოფორმების ორკესტრს (Murray-Zmijewski, Lane and Bourdon 2006).

FED-ის დროს აღინიშნება პროტეინი p63, რაც ჩვენს მიერ არ დაფიქსირდა HT-ის დროს, მაგრამ გამოიკვეთა HT-ის ფონზე განვითარებული PTC-ის და სპორადული PTC-ის დროს, რაც იმუნოჰისტოქიმიური მეთოდებით გამოვლინდა (სურ. სურ. 30-32, 39-42).

აღსანიშნავია, რომ კეთილთვისებიანი კვანძების მქონე პაციენტებში ქირურგიული ჩარევის შესამცირებლად შეიძლება გამოყენებული იყოს მოლეკულური გაფართოებული ანალიზი და შესაბამისად უფრო ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციები. სწორედ ამ მიმართულებით ინფორმაციის მოძიებასა და იდენტიფიკაციას ითვალისწინებს ჩვენი კვლევის ძირითადი მიმართულება - ამოვიცნოთ პრეკანცერული დაზიანებები ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეში, მაშინ როცა ეს დაზიანებები შეიძლება არასწორად იყოს კლასიფიცირებული, როგორც კეთილთვისებიანი ფოლიკულური ადენომა ან დაბალი ხარისხის ავთვისებიანი სიმსივნე. ამავე დროს, პარალელურად გამოვეყნოთ პროგნოზულად აგრესიული მიმდინარეობის შესატყვისი უჯრედული ვარიანტები.

სწორედ ფარისებრი ჯირკვლის ჰისტოპათოლოგიაში ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ცვლილება არის ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის არაინვაზიურ ინკაფსულირებულ ფოლიკულურ ვარიანტად შეფასება/განხილვა და არა მისი კლასიფიცირება, როგორც ავთვისებიანი პოტენციალის მაღალდიფერენცირებული სიმსივნე, როგორც ეს წარმოადგინეს Nikiforov და თანაავტორებმა აშშ თიროიდული ასოციაციის 2015 წლის შეხვედრაზე (Haugen et al. 2016). ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ჰისტოტიპირების მცდელობისას ნეოპლაზიათა მნიშვნელოვანი ნაწილი

განუსაზღვრელ კატეგორიაში აღმოჩნდა, სახელდობრ, კეთილთვისებიანი, მაგრამ პრეკანცერული (?) სიმსივნეების ტიპი, მათ შორის, ავთვისებიანი სიმსივნეების 48% საექვო ავთვისებიანობისთვის და 45% ავთვისებიანი სიმსივნეების განუსაზღვრელი მნიშვნელობის ატიპიით, როგორც მოხსენებულია Strickland და თანაავტორების მიერ (Strickland et al. 2015).

ყოველივე ზემოაღნიშნულმა, კლასიფიკაციის მცდელობისას მკვლევარები მიიყვანა დასკვნამდე, რომ ფარისებრი ჯირკვლის არაინვაზიური ფოლიკულური სიმსივნური უჯრედების ბირთვული პაპილური მახასიათებლები გამორჩეული ჰისტოლოგიური სურათით, იმუნოჰისტოქიმიური და მოლეკულური პროფილებით წარმოადგენს კრიტერიუმს, რომლის დახმარებით შესაძლოა ე.წ. „პრეკანცერული“ და gray zone-ის უჯრედთა იდენტიფიკაცია კლინიკურ მიდგომასთან მათი პირდაპირი კავშირის გათვალისწინებით, რაც ჩვენი მასალებითაც დადასტურდა.


ამ მონაცემებთან სრულ თანხმობაში შეიძლება შეფასდეს გლიკოპროტეინ CD56 იმუნოჰისტოქიმიური აქტივობის შედეგები - სრული კორელაცია ფოლიკულური ეპითელიუმის დისპლაზიის უბნების რაოდენობის და მათი ლოკალიზაციის მაჩვენებლებთან. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, CD56 წარმოადგენს იმუნოგლობულინების დამაკავშირებელ გლიკოპროტეინს, რომელიც ნორმაში ექსპრესირდება ბუნებრივი კილერების, აქტივირებული T უჯრედების, დიდი გრანულარული ლიმფოციტების, სპეციფიური ენდოკრინული და ტვინის ქსოვილების მიერ. მიიჩნევა, რომ CD56 აწესრიგებს უჯრედების მოძრაობას, აგრეთვე ნეირონებს შორის ჰომოფილურ კავშირებს. ამ მონაცემების პარალელურად, მნიშვნელოვანია, რომ CD56 ექსპრესირდება აგრეთვე ფარისებრი ჯირკვლის ფოლიკულური უჯრედების მიერ (Prag et al. 2002; Zeromski et al. 1998; Scarpino et al. 2007).

ხელთ გვქონდა რა ეს ინფორმაცია, გასარკვევი იყო ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნური პროცესების დიფერენციაციაში ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა - პაპილური კარცინომის ფოლიკულური ტიპისა და ფოლიკულურ ადენომებს შორის დიფერენციალური დიაგნოზი (Nikiforov et al. 2016). დიფერენციაციას ამ ორ პათოლოგიას შორის აქვს კლინიკური მნიშვნელობა, როგორც მკურნალობის ასევე

პაციენტის ხანგრძლივი მონიტორინგის თვალსაზრისით.

ჩვენი დაკვირვებით, HT-თან ასოცირებულ PTC მასალაზე სწორედ CD56-ის კლებადი იმონოექსპრესია მიუთითებს სიმსივნური პროცესის პროგრესიაზე, რაც უკუკავშირშია p53/p63-ის ოჯახის სუპრესორული ცილების აქტივობასთან. CD56 ცილის ექსპრესია დაქვეითებულია და თითქმის დაკარგულია პაპილური კარცინომების, ფოლიკულური კარცინომების, ხოლო ლიტერატურის მიხედვით, ასევე ანაპლაზიური კარცინომების დროს (El Demellawy et al. 2009).

ამ მსჯელობასთან შესაბამისობაში, განვიხილეთ რა იმუნოჰისტოქიმიური რეაქციის და მათი გრაფიკული გამოსახვის შედეგები, გაირკვა, რომ CD56 გლიკოპროტეინის თვალსაჩინო გადახრები ვლინდება ჰაშიმოტოს თიროიდიტის დროს დიფუზური მაღალი ექსპრესიიდან არეაქტიული უბნების იდენტიფიკაციამდე პაპილური კარცინომის შემთხვევაში, ამ უკანასკნელში CD56-ის მაღალი აქტივობა იყო კოლოიდში, მაგრამ არ დადასტურდა სიმსივნური უჯრედების ბირთვისა და ციტოპლაზმაში (დიაგრამა N5).



დიაგრამა N5. CD56-ის აქტივობა ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიის დროს.

CD56-ის სუსტი ექსპრესია (დეფიციტი) განსაკუთრებით პაპილური კარცინომის

დროს შეიმჩნევა, ეს ფაქტი ეთანხმება ჩვენი კვლევის შედეგებს, რომელთა თანახმად, საგრძნობია CD56-ის ექსპრესიის შემცირება, პაპილური კარცინომების დროს, ხოლო რიდელის თიროიდიტის დროს კი ნაჩვენებია იქნა მონაცემების მკვეთრი სხვაობა, სახელდობრ ზომიერი და მაღალი ექსპრესია, რაც ეთანხმება ზოგადჰისტოლოგიური და მოლეკულურ-გენეტიკური კვლევის მონაცემებს, რომ რიდელის აუტოიმუნურ თიროიდიტში, განსხვავებით ჰაშიმოტოს თიროიდიტისგან, არ აღინიშნება FED, ამიტომაც არ წარმოადგენს პრეკანცერული ცვლილებების პოტენციურ რისკს.

